

"ჩვენი აფხაზეთი" A5



თურქები დააჯარიმეს A7



ქალი ჯაზური სახლიდან A8


www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი — ხუთშაბათი, 9 თებერვალი, 2006 წელი. №28 (1180) — ფასი 50 თეთრი


## ამბები

### ახალი ამნისტია მშენებლებისთვის

ურბანული დაგეგმარების სამსახურმა საკრებულოს წერილობით მიმართა და თბილისში უკანასკნელ წლებში შეჩერებულ 12 მშენებარე ობიექტზე მშენებლობის გაგრძელება ითხოვა.

A2

## სამართალი

### ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ უმსხვილესი შიდა გამოძიება დაიწყო

მასობრივი ინფორმაციის საშულებებში სპეცსამსახურების საიდუმლო ოპერაციების შესახებ მონაცემების გაჟონვაში კავშირის მქონე თანამშრომლების გამოსავლენად ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორმა პორტერ გოსმა, უკანასკნელი წლების მანძილზე უმსხვილესი შიდა გამოძიების დაწყების ბრძანება გასცა.

A4

## სპორტი

### წილი ნაყარია

ევროპის ხუთგზის ჩემპიონი ახალგაზრდულ ნაკრებ გუნდებს შორის - იტალიის ნაკრები ტიტულის დაცვას დანიასთან, ჰოლანდიასა და უკრაინასთან მატჩებით დაიწყებს. ასეთია ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის კენჭისყრის შედეგები, რომელიც გუშინ პორტუგალიის ქალაქ პორტუში გაიმართა.

A7


საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.


## ამინდი

| | 9/02 | 10 /02 |
|---|---|---|
| თბილისი | 5 | 10 |
| ტყიბული | 11 | 12 |
| სოხუმი | 11 | 10 |
| დმანისი | 3 | 4 |
| გორი | 4 | 9 |
| ონი | -2 | 6 |
| ზუგდიდი | 15 | 12 |
| ახმეტა | 2 | 10 |
| გაგრა | 9 | 7 |
| სამტრედია | 14 | 14 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8175 |
| ევრო | 2.2050 |
| გირვანქა სტერლ. | 3.2868 |
| რუბლი | 0.0636 |


ამბები A 2
ეკონომიკა A 3
სამართალი A 4
პროექტი A 5
ტენდერი A 6
სპორტი A 7
სხვადასხვა A 8


# საქართველოს მაკროეკონომიკური მდგომარეობა

## შედეგები და პერსპექტივები


რობერტ ე. კრისტიანსენი
*სსფ-ს მუდმივი წარმომადგენელი საქართველოში*




2005 წელს საქართველომ შთამბეჭდავი მაკროეკონომიკური შედეგები აჩვენა. წინასწარი შეფასებებით, გასულ წელს მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა 7-8 პროცენტს მიაღწევს და შეიძლება გადააჭარბოს კიდეც ამ მაჩვენებელს. ზრდის ასეთი ტემპი მნიშვნელოვად აღემატება 2004 წელს მიღწეულ შედეგს (6 პროცენტი). ეკონომიკური ზრდა საქართველოსთვის მეტად მნიშვნელოვანია, რადგანაც იგი ხალხის დასაქმების და სიღარიბის აღმოფხვრის წყაროდ უნდა იქცეს.

ისიც საყურადღებოა, რომ 2005 წელს ეკონომიკურმა ზრდამ უფრო მეტი სექტორი მოიცვა, ვიდრე 2004 წელს.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ზეიმი პროტესტის ფონზე

ნინო ბერელიძე

*გუშინ, თბილისის ივ.ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს დაარსებიდან 88 წელი შეუსრულდა. უნივერსიტეტში დაგეგმილი ზეიმი და ბასკეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის სტუმრობა ჩვეულებრივ საიუბილეო ღონისძიებათა ნაწილი იყო, განათლების რეფორმის მოწინააღმდეგე პოლიტიკური თუ არაპოლიტიკური დაჯგუფებების მიერ ატეხილი ხმაური კი, რომელიც უნივერსიტეტის ეზოდან ისმოდა, ფონად გასდევდა საზეიმო ღონისძიებებს.*



*ბასკეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ხუან ხოსე იბარეჩე საპატიო დოქტორად აირჩიეს.*

რეფორმით უკმაყოფილო პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების ერთ ნაწილს, პოლიტიკური პარტიები - "წინ საქართველო", "ერთობა", "კონსერვატორები", "ოცდამეერთე საუკუნე", "ილია ჭავჭავაძის საზოგადოება", "ლეიბორისტები", არასამთავრობო ორგანიზაცია "ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებების დასაცავად", მწერალთა კავშირის წევრები და სახელმწიფო წიგნის პალატის წარმომადგენლები შეუერთდნენ. საპროტესტო აქცია მიმდინარეობდა ლოზუნგით - "გადავარჩინოთ უნივერსიტეტი და გადავარჩინოთ საქართველო უსამშობლო ადამიანებისაგან."

ნესტან კირთაძემ და უნივერსიტეტის დოცენტმა დემურ ბახტაძემ უვადო შიმშილობა გამოაცხადეს. ოთხი დღეა უნივერსიტეტში შიმშილობს ექვსი ადამიანი, რომლებიც უნივერსიტეტის ავტონომიის აღდგენასა და განათლების სამინისტროს გადაწყვეტილების გაუქმებას მოითხოვენ. მათი ინფორმაციით, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების საშტატო ნუსხა კიდევ 600-მდე მცირდება.

უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი ადასტურებს, რომ უნივერსიტეტში მიმდინარე რეფორმას საშტატო შემცირებები მართლაც მოჰყვება. მისი განცხადებით, ახალი საშტატო განრიგის მიხედვით, უნივერსიტეტს 3100 თანამშრომელი ეყოლება, აქედან 1440 პროფესორი იქნება.

**" ის, რაც დღეს უნივერსიტე-**

გაგრძელება A2 გვერდზე

# აფეთქება ყაზარმაში

## უბედური შემთხვევა თუ ტერაქტი?

*ჩეჩნეთის კურჩალოეს რაიონში, სპეცდანიშნულების ბატალიონ "ვოსტოკის" ტერიტორიაზე, ორსართულიანი შენობა აფეთქდა. წინასწარი ინფორმაციით, დაღუპულია 13 ადამიანი, ხოლო 30-მდე დაიჭრა. ბუნებრივია, ჩეჩნეთის ტერიტორიაზე მომხდარი ნებისმიერი აფეთქებისას ეჭვი, პირველ რიგში, ამბოხებულებზე შეიძლება გაჩნდეს, მით უმეტეს, რომ "სამიზნე" რუსი სამხედროები იყვნენ. მაგრამ გუშინ ხელისუფლების წარმომადგენლები თავიდანვე ჯიუტად ამტკიცებდნენ, რომ "ვოსტოკის" ყაზარმა უბედურ შემთხვევას ემსხვერპლა.*





რუსული საინფორმაციო საშუალებების ინფორმაციით, სამშაბათს ღამით აფეთქებულ ყაზარმაში, სავარაუდოდ, 48 ადამიანი იმყოფებოდა. მაშველებმა ნანგრევებში ალმოაჩინეს 12 ადამიანის ცხედარი და 28 დაჭრილი. საინტერესოა, რომ აფეთქების პირველივე ვერსია უბედური შემთხვევა იყო და არა ტერაქტი. ჩეჩნეთის პროკურორის ვალერი კუზნეცოვის თქმით, აფეთქების მიზეზი ბუნებრივი აირის გაჟონვა გახდა, - იტყობინება სააგენტო "ინტერფაქსი".

გაგრძელება A2 გვერდზე

# სააკაშვილი-კოკოითის შეხვედრა არ შედგება

*"ცხინვალის რეგიონიდან რუსული სამშვიდობოების გაყვანა საქართველოს თვითმიზანი არ არის, თუმცა შესაძლოა, მათი დარჩენა უფრო სახიფათო იყო," - ასეთი იყო მთავრობის სხდომის ლაიტმოტივი.*

ნათია მსხილაძე

სახელმწიფო მინისტრმა გოგა ხაინდრავამ მთავრობის სხდომაზე განაცხადა, რომ სააკაშვილი-კოკოითის შეხვედრა არ შედგება. ქართულმა მხარემ ედუარდ კოკოითს ოთხჯერ შესთავაზა საქართველოს პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელთან შეხვედრა, მაგრამ ოთხჯერვე უარყოფითი პასუხი მიიღო. მინისტრის თქმით, ახლა საქართველოს არ აქვს სურვილი, მონაწილეობა მიიღოს სამხრეთ ოსეთის ლიდერის, ედუარდ კოკოითის პიარ-კომპანიაში.

შეგახსენებთ, რომ ედუარდ კოკოითმა საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრის მზადყოფნის შესახებ განცხადება მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა. მის მიერ გაკეთებული განცხადების თანახმად, იგი მზად არის, ყველგან შეხვდეს საქართველოს პრეზიდენტს, თბილისის გარდა.

გოგა ხაინდრავამ ოსურ და რუსულ მხარეებს ფუჭი საუბრების შეწყვეტისკენ მოუწოდა და დასძინა, რომ უმჯობესია დაიწყოს კონკრეტული ქმედებები დემილიტარიზაციისა და ეკონომიკური რეაბილიტაციის კუთხით. **"არც ერთი ჩვენი ნაბიჯი რუსეთის წინააღმდეგ არ არის მიმართული, მაგრამ თუ რუსულ პოლიტიკურ ელიტას ასე მიაჩნია, ეს მისი პრობლემაა,"** - აცხადებს სახელმწიფო მინისტრი.

სულ ახლახან გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს, ქართული მხარე ძალის გამოყენებით აპირებს ცხინვალში შესვლას, რაც სახელმწიფო მინისტრმა კატეგორიულად უარყო. **"ვერც ერთი ჩვენი მტერი ვერ ეღირსება იმას, რომ ქართულმა მხარემ ძალა გამოიყენოს,"** - აღნიშნა ხაინდრავამ. იგი სამშვიდობო ძალების სარდალ მარატ კულახმეტოვის ბოლოდროინდელ კომენტარებსაც გამოეხმაურა. მისი განცხადებით, გენერალ-მაიორმა პოლიტიკაში ჩარევა დაიწყო და ამით საკუთარ კარიერას წერტილი დაუსვა. ხაინდრავას აზრით, კულახმეტოვი მისი წინამორბედის, ნაბდზოროვის ბედს გაიზიარებს.

გაგრძელება A2 გვერდზე

# ედუარდ კოკოითი - ბუმერანგი რუსეთისთვის

*საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე ოფიციალურ მოსკოვს კეთილ რჩევასა და გაფრთხილებას აძლევს. სპიკერის თქმით, რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან ედუარდ კოკოითის მფარველობა და "სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტად" მისი მოხსენიება, კრემლს, შესაძლოა, ცუდად შეუბრუნდეს.*

გიორგი ასანიშვილი

**"სეპარატიზმის წახალისება თავად რუსეთში გამოიწვევს სეპარატისტული მოძრაობის გააქტიურებას და თუ იქ გარკვეული პროცესები დაიწყება, რუსეთისაგან აღარაფერი დარჩება,"** - აცხადებს ბურჯანაძე და იქვე განმარტავს, რომ მას სულაც არ სურს, მოვლენები ასეთი სცენარით განვითარდეს.

**"სეპარატიზმის საფრთხე არანაკლებ სახიფათოა რუსეთისათვის, ვიდრე საქართველოსათვის. რუსეთი ამ საფრთხეებზე უნდა დაფიქრდეს, როცა კოკოითს დამოუკიდებელი სახელმწიფოს პრეზიდენტს უწოდებს,"** - აფრთხილებს ნინო ბურჯანაძე რუსეთის ხელისუფლებას.

ამასთან, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს აბსურდულად მიაჩნია თავად კოკოითის პრეტენზია, რომ მაინცდამაინც მიხეილ სააკაშვილს უნდა შეხვდეს. **"აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელი ზურაბ ნოღაიდელი მზად იყო, დიალოგი გაემართა მასთან და ეს რესურსი დღესაც არ არის ამოწურული, მაგრამ ოსური და რუსული მხარის მცდელობით, მათი შეხვედრა ჩაიშალა,"** - მოსკოვსა და ცხინვალს დესტრუქციულობაში ადანაშაულებს ბურჯანაძე.

გაგრძელება A2 გვერდზე

# შს მინისტრის ინიციატივა - დარტყმა ჯიბის ქურდებსა და შავ ბიზნესზე

*ცოტა ხნის წინათ შს მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა დედაქალაქში მოპარული ტელეფონებით მოვაჭრე ორასამდე ლომბარდის მეპატრონეს მოუწოდა, ხელი აიღონ "შავ" ბიზნესზე, მოქალაქეებს კი ურჩია, ტელეფონების დაკარგვის შემთხვევაში აუცილებლად მიმართონ პოლიციას. ვანო მერაბიშვილმა ეს განცხადება, მისი პირადი ინიციატივის პრეზენტაციისას გააკეთა - საუბარია მოპარული მობილური ტელეფონების ქსელიდან გათიშვის ახალ სისტემაზე. ამ სისტემის ამუშავებით ჯიბის ქურდების შავი ბიზნესი - მობილური ტელეფონების ქურდობა მოგებიანი აღარ იქნება, რადგან მოპარული მობილური ტელეფონი ქსელიდან გაითიშება და ის გამოუსადეგარი გახდება. შს მინისტრის ახალმა ინიციატივამ გუშინ სალომბარდო ბიზნესსაც "დაარტყა".*

გუშინ დილით, შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით, თბილისში მოქმედ ყველა ლომბარდში, ერთდროულად ჩატარდა სპეცოპერაცია კოდური სახელწოდებით "ლომბარდი".

კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის უფროსის ირაკლი ქადაგიძის განცხადებით, სპეცოპერაცია "ლომბარდი" კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტმა, სპეციალურმა ოპერატიულმა დეპარტამენტმა და თბილისის პოლიციამ ერთობლივად ჩაატარეს.

ამოღებულია 4 ათას 650 უსაბუთო მობილური ტელეფონი, ასევე, ამოღებულია შაშხანა, პისტოლეტი, ნაგანი და საფანტის პისტოლეტი. პოლიციამ დააკავა 61 ეჭვმიტანილი, რომლებიც უსაბუთო მობილურ ტელეფონებს ყიდდნენ, მათ მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე ნივთის დანაშაულებრივი გზით შეძენა-გასაღების ფაქტზე.

ირაკლი ქადაგიძის განცხადებით, ამოღებული უსაბუთო მობილური ტელეფონები დაზარალებულებს უკან დაუბრუნდებათ, ოღონდაც, იმ შემთხვევაში, თუ ტელეფონის დაკარგვის შესახებ მფლობელს პოლიციაში განცხადება აქვს შეტანილი.

გაგრძელება A4 გვერდზე

## ეკონომიკური განვითარების მინისტრს პარლამენტში იბარებენ

პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი ენერგეტიკის სექტორში დაგეგმილი პრივატიზაციით დაინტერესდა და ეკონომიკური განვითარების მინისტრი ირაკლი ჩოგოვაძე დაიბარა. როგორც კომიტეტის თავმჯდომარემ ნიკო ლეკიშვილმა განაცხადა, მისთვის გაუგებარია, რა პრინციპს ემყარება ამა თუ იმ ენერგოობიექტზე მთავრობის მიერ გამოცხადებული საპრივატიზაციო ფასი. **"მართალია, აუდიტმა აღნიშნული ობიექტები შედარებით იაფად შეაფასა, მაგრამ მთავრობა ცდილობს, ისინი რაც შეიძლება მაღალ ფასად გაყიდოს. გაუგებარია, რა პრინციპებს ემყარება ამა თუ იმ ობიექტის ფასი. აღნიშნული საკითხი, შესაძლოა, ხელახალი გადამოწმების საგანი გახდეს. ამიტომ, ამასთან დაკავშირებით, ინფორმაცია ახლავე უნდა მოვისმინოთ,"** - განაცხადა ლეკიშვილმა. მისივე თქმით, კომიტეტი ეკონომიკის მინისტრის სახელზე წერილს გააგზავნის და სთხოვს, თებერვლის ბოლოს მათ პრივატიზაციასთან დაკავშირებით იმფორმაცია მიაწოდოს.

**"თუ ამ საკითხს ახლავე არ განვიხილავთ, შესაძლოა, მომავალში საშარო გახდეს,"** - განაცხადა ლეკიშვილმა.

*ინტერპრესნიუსი*

## ახალი ამნისტია მშენებლებისთვის

თამარ დვალი

უკვე რამდენიმე წელიწადია, რაც თბილისის უბნებში ბინათმშენებლობის ბუმია. გასულ წელს თბილისის ყოფილმა მერმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა ვაკეში მიმდინარე მშენებლობებზე მორატორიუმი გამოაცხადა. მორატორიუმი მალევე მოიხსნა, თუმცა ქალაქის ცენტრში დაუმთავრებელი მშენებლობების სიმრავლე მაინც შეიმჩნევა. შეჩერებული მშენებლობის მიზეზად, უმეტეს შემთხვევაში, სამშენებლო ნორმების დარღვევა სახელდება.

თბილისის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის უფროსის ნიკოლოზ ჩხაიძის თქმით, დედაქალაქში მშენებლობის მნიშვნელოვანმა ზრდამ პრობლემები შექმნა, როგორც სამართლებრივი თვალსაზრისით, ასევე მხატვრულ-არქიტექტურული თვალსაზრისითაც. ჩხაიძის განმარტებით, ნებართვები სამშენებლო ნორმების დარღვევით გაიცემოდა, რაც ტერიტორიების ზომაზე მეტად შემჭიდროვებას იწვევდა.

**"ხშირ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ქუჩის მასშტაბისათვის შეუფერებელი ობიექტების მშენებლობას. ამის მიუხედავად, შექმნილი სიტუაციიდან გამოსვლის მიზნით, ჩვენი სამსახური გარდამავალ პერიოდში შესაძლებლად მიიჩნევს რამდენიმე ობიექტზე მშენებლობის გაგრძელებას, თუნდაც ის გამოვიდეს რეგლამენტით გათვალისწინებული შეზღუდვების ჩარჩოებიდან,"** - განაცხადა ჩხაიძემ.

ურბანული დაგეგმარების სამსახურმა საკრებულოს წერილობით მიმართა და თბილისში უკანასკნელ წლებში შეჩერებულ 12 მშენებარე ობიექტზე მშენებლობის გაგრძელება ითხოვა.

**"უნდა აღინიშნოს, რომ ობიექტებზე შეჩერებული მშენებლობის გამო, დამკვეთები ჩავარდნილი არიან მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში. ხოლო ამხანაგობებში გაწევრიანებული მოქალაქეები და სამშენებლო ტერიტორიებიდან გაყვანილი მოსახლეობა სერიოზულ მატერიალურ და მორალურ ზარალს განიცდის. ურბანული სამსახურის მიერ წარმოდგენილი მასალებიდან ჩანს, რომ ცალკეული დამკვეთები, შექმნილი სიტუაციიდან გამოსვლის მიზნით, ქალაქის მთავრობას პრაქტიკულ წინადადებებს სთავაზობენ,"** - განაცხადა ეკონომიკური რეფორმებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავჯდომარემ ჯემალ სადაღაშვილმა. მისივე განმარტებით, ინტერფრაქციული ჯგუფი აუცილებლად მიიჩნევს ქალაქში შეჩერებული ობიექტების სრული ოდენობის დადგენასა და პრობლემის გადასაწყვეტად

## 15 თებერვლიდან - მხოლოდ ლეგალური

არალეგალურად მომუშავე ვალუტის გადამცვლელ პუნქტებს საქმიანობის კანონიერ ჩარჩოებში მოსაქცევად ვადა მხოლოდ 15 თებერვლამდე აქვთ. ამ თარიღის გასვლის შემდეგ, საქართველოს ეროვნული ბანკი არალეგალური პუნქტების მიმართ კანონით დადგენილ სანქციებს მიმართავს.

ერთი თვის წინ ძალაში შევიდა საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება, რომლის საფუძველზეც ვალუტის გადამცვლელი პუნქტების გასხნა მნიშვნელოვნად გაადვილდა. კერძოდ, ორჯერ შემცირდა სავალუტო პუნქტის გახსნისათვის აუცილებელი ფართობი. გარდა ამისა, მნიშვნელოვნად შეიზღუდა ლიცენზიის გაცემის ვადა, გაუქმდა ეროვნული ბანკიდან დასკვნა სალაროს მზადყოფნის თაობაზე. ამასთან, პუნქტის გასახსნელად აღარ იქნება აუცილებელი ცნობა კომერციული ბანკიდან ანგარიშის შესახებ, ასევე ბიზნესგეგმის წარდგენა და სალაროსათვის მხოლოდ ერთი ფანჯრის არსებობა.

**"ძალაში მხოლოდ ისეთი სახის მოთხოვნები დარჩა, რომლებიც ყალბი ფულის მიმოქცევის აღკვეთას და ამ მხრივ მოსახლეობის დაცვას უზრუნველყოფენ,"** - აღნიშნა საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტმა ეკატერინე გალდავამ.

საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობის დეპარტამენტის ინფორმაციით, მთლიანად საქართველოში ვალუტის გადამცვლელი 556 ლიცენზირებული პუნქტი მოქმედებს. აქედან, 393 თბილისშია განთავსებული. აღსანიშნავია, რომ ეროვნული ბანკის ინფორმაციით, დედაქალაქში 130 პუნქტი ლიცენზიის გარეშე საქმიანობს.

*24 საათი*

## მოვაჭრეების მიმართ სანქციები მკაცრდება

საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებით, 1 მარტიდან საჯარიმო სანქციები გამკაცრდება იმ მეწარმეთა მიმართ, რომლებიც მომხმარებელთა ფულადი ანგარიშსწორებისას საკონტროლო-სალარო აპარატებს არ იყენებენ. სანქციები ვრცელდება ჯიხურებში მოვაჭრეებზეც.

კერძოდ, როგორც საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ კობა აბულაძემ განაცხადა, ასეთი აპარატის არქონის შემთხვევაში მეწარმე 500 ლარით, დარღვევის მეორედ აღმოჩენისას 5000, მესამედ კი 10 000 ლარით დაჯარიმდება. ამასთან, მეწარმეები, რომელთაც ეს აპარატები აქვთ, თუმცა, მათ ნაღდი ფულის მოძრაობისას არ იყენებენ და ქვითარს არ გამოწერენ, თავდაპირველად 500, მეორედ 1500, მესამედ კი 2500 ლარით დაჯარიმდებიან. ის პირები კი, რომლებიც აპარატის ფისკალურ მეხსიერებას დააზიანებენ, ან რაიმე სახის ზეგავლენას მოახდენენ მასზე, 3000-დან 15000 ლარამდე დაჯარიმდებიან. კობა აბულაძის თქმით, ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელ პირთა მიმართ ფინანსური ჯარიმები ადრეც არსებობდა, თუმცა, მაშინ საკონტროლო სალარო აპარატის არქონის გამო პირი მხოლოდ 500 ლარით ისჯებოდა. **"ახალმა ცვლილებამ კი სანქციები გაამკაცრა,"** - დასძინა მან.

გუშინ პრესის გამავრცელებელმა სამსახურებმა უკმაყოფილება გამოთქვეს აღნიშნულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. მათ განცხადებებს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტმა საგანგებო ბრიფინგით უპასუხა და კიდევ ერთხელ განმარტა კანონის ის მოთხოვნები, რომლის საფუძველზეც საგადასახადო სამსახურის წარმომადგენლებმა პრესის გამავრცელებელ რამდენიმე ჯიხურს საჯარიმო სანქციები დააკისრეს.

დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის კობა აბულაძის განმარტებით, საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების ვალდებულებას კანონმდებლობა იმ სავაჭრო ობიექტებს აკისრებს, სადაც ჟურნალ-გაზეთების გარდა, იყიდება სხვა საქონელიც. დედაქალაქის ტერიტორიაზე არსებული პრესის გავრცელების ჯიხურებში კი ჟურნალ-გაზეთებთან ერთად იყიდება აუდიო და კომპაქტდისკები, სალეჭი რეზინები, ლატარიის ბილეთები, მობილური ტელეფონის მონო და ასტრა ბარათები, საკანცელარიო ნივთები და ა.შ. ასეთ შემთხვევაში კი, საგადასახადო კოდექსის საფუძველზე, როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირები, რომლებიც ეკონომიკურ საქმიანობას ახორციელებენ, ვალდებულნი არიან მომხმარებელთან ფულადი ანგარიშსწორება მხოლოდ საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენებით განახორციელონ. კობა აბულაძის განცხადებით, საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენებისგან გათავისუფლებულები არიან მხოლოდ ის მეწარმე ფიზიკური პირები, რომლებიც ახორციელებენ ქუჩაში დატარებითი ფორმით წვრილ საცალო ვაჭრობას, ასევე გაზეთებისა და ჟურნალების გაყიდვას ქუჩაში დადგმული სტენდებიდან და მაგიდებიდან.

**"აქედან გამომდინარე, საგადასახადო დეპარტამენტი უსაფუძვლოდ მიიჩნევს პრესის გავრცელების სამსახურების წარმომადგენელთა მიერ გამოთქმულ პრეტენზიებს და სრული პასუხისმგებლობით აცხადებს, რომ დახურვის საშიშროება არც ერთ ჯიხურს არ ემუქრება. მოვუწოდებთ პრესის გამავრცელებლებს, დაიცვან კანონის მოთხოვნები და საკონტროლო-სალარო აპარატები შეიძინონ,"** - განაცხადეს გუშინ დეპარტამენტში.

*24 საათი*

## ედუარდ კოკოითი - ბუმერანგი რუსეთისთვის

პირველი გვერდიდან

სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" გუშინ გამართულ ბრიფინგზე პარლამენტის სპიკერმა, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებისა და კონფლიქტურ რეგიონში შექმნილი ვითარების გარდა, დსთ-ში საქართველოს ყოფნის მიზანშეწონილობის საკითხზეც გააკეთა კომენტარი.

**"დსთ-დან გამოსვლა ჩვენი თვითმიზანი არ არის, მაგრამ თუ ამ გაერთიანებამ საქართველოს პრობლემებს წაუყრუა და ეს ორგანიზაცია ტრიბუნადაც კი ვერ გამოვიყენეთ, მაშინ დსთ-დან გამოსვლის საკითხი დღის წესრიგში დადგება,"** - აღნიშნავს ნინო ბურჯანაძე.



ნიშანდობლივია, რომ მან ეს განცხადება კიევში გამგზავრების წინ გააკეთა, სადაც დღეს დსთ-ს საპარლამენტო ასამბლეის პარლამენტის თავმჯდომარეების შეხვედრა გაიმართება. ამ შეხვედრაზე ნინო ბურჯანაძე, სავარაუდოდ, კონფლიქტის ზონებში რუსი სამშვიდობო ძალების ქმედებებზე ისაუბრებს და თავის კოლეგებს საქმის კურსში ჩააყენებს იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ გახდა აქტუალური რუსი "ცისფერჩაფხუტიანების" გაყვანის საკითხი.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან ერთად, უკრაინის დედაქალაქში მიემგზავრებიან თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე გივი თარგამაძე და უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი გიგა ბოკერია. ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს საპარლამენტო დელეგაციას დაგეგმილი აქვს შეხვედრები უკრაინის პრეზიდენტთან, პარლამენტის თავმჯდომარესთან და სხვა ოფიციალურ პირებთან, აგრეთვე რუსეთის ფედერაციის საბჭოს სპიკერთან სერგეი მირონოვთან.

კიევში გამგზავრებამდე ნინო ბურჯანაძემ სამხრეთ კავკასიისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების პარლამენტართა კონფერენციის მუშაობაში მიიღო მონაწილეობა, რომელიც 6-9 თებერვალს "მარშალის ევროპული ცენტრის" ეგიდით ტარდება. საქართველოს პარლამენტის სპიკერი ამ ღონისძიებას მაღალ შეფასებას აძლევს და მიიჩნევს, რომ ასეთი კონფერენციების გამართვა მნიშვნელოვანია არა მარტო საქართველოსთვის, არამედ მთლიანად კავკასიის რეგიონისთვის.

**"გვინდა გავიაროთ ისეთივე გზა, როგორიც ბალტიისპირეთის ქვეყნებმა გაიარეს. ამასთან, კარგად გავეცნოთ სტაბილურ დემოკრატიაზე გადასვლის დროს წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრის საქმეში მათ მიერ დაგროვილ მდიდარ გამოცდილებას,"** - აცხადებს ნინო ბურჯანაძე.

## სააკაშვილი-კოკოითის შეხვედრა არ შედგება

პირველი გვერდიდან

მთავრობის გუშინდელ სხდომაზე, რუსული სამშვიდობო ძალების კონფლიქტის ზონიდან გაყვანასთან დაკავშირებით, კომენტარი პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმაც გააკეთა. მისი განაცხადებით, ქართული მხარისთვის რუსული სამშვიდობო ძალების კონფლიქტის ზონიდან გაყვანა თვითმიზანი არასდროს ყოფილა. **"ჩვენი ამოცანა არის ამ კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება, ეუთო-ს მიერ დამტკიცებული გეგმის შესაბამისად. ჩვენი თვითმიზანი არასდროს ყოფილა სამშვიდობო ძალების კონფლიქტის ზონიდან გასვლა და ამ თვალსაზრისით საბოლოო გადაწყვეტილებას საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე მივიღებთ,"** - აღნიშნა პრემიერმა.

ნოღაიდელის თქმით, ძალიან მნიშვნელოვანია 15 თებერვლისთვის დაგეგმილი განხილვა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ შინაგან საქმეთა, თავდაცვის და საგარეო საქმეთა სამინისტროები, აგრეთვე - კონფლიქტის მოგვარების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი.

## ზეიმი პროტესტის ფონზე

პირველი გვერდიდან

**ტში ხდება, პოლიტიკური დემარშია და მეტი არაფერი. ეს ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში შესაბამისად დაისჯებოდა,** - განაცხადა საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა რუსუდან ლორთქიფანიძემ, - **მაგრამ ეს ვერ შეაფერხებს მიმდინარე რეფორმას. უნივერსიტეტში შედგა ისეთი პროექტები, რომლებიც დასაბამს აძლევს ახალი უნივერსიტეტის ფორმირებას. ჩვენ მჭიდრო ურთიერთობა გვაქვს დასავლეთ ევროპის უნივერსიტეტებთან და განსაზღვრულია მთავარი პრიორიტეტებიც - კონკრეტულად ეკონომიკის სფერო."**

გუშინ უნივერსიტეტს სტუმრობდა ბასკეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ხუან ხოსე იბარეჩე, რომელსაც უნივერსიტეტის რექტორმა დოქტორის საპატიო წოდება მიანიჭა. შეხვედრა ნაყოფიერი გამოდგა და ბასკეთის მთავრობა მზადაა, დააფინანსოს უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი რამდენიმე სასწავლო პროგრამა.

უცხოეთი

## აფეთქება ყაზარმაში

პირველი გვერდიდან

პროკურორმა გუშინ განაცხადა, რომ ამ ვერსიას ადასტურებს შენობის ნანგრევებში ნაპოვნი თხევადი აირის სამი ბალონი. გამოძიების ვერსიით, ერთ-ერთ ბალონს ექსპლუატაციის ვადა ჰქონდა გასული და როდესაც თბილ ოთახში შეიტანეს, სავარაუდოდ, მისგან აირის გაჟონვა დაიწყო. **"საბოლოო დასკვნას პროკურატურა გამოიტანს, თუმცა, ვვარაუდობთ, რომ სამზარეულოში გაზის ბალონები აფეთქდა,"** - განაცხადა ჩეჩნეთის რესპუბლიკაში რუსეთის საგანგებო საქმეთა სამსახურის უფროსის მოადგილემ ახმეტ ჯეირხანოვმა.

რაც შეეხება ტერაქტის ვერსიას, გუშინ პროკურორიც ირწმუნებოდა, რომ შემთხვევის ადგილზე არანაირი ასაფეთქებელი ნივითიერების კვალი არ არის აღმოჩენილი. სხვათა შორის, პროკურორის განცხადებამდე ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ მაშველებმა ნანგრევებში ვერც გაზის ბალონების კვალი იპოვეს.

რასაკვირველია, "გაზის ვერსიას" არსებობის უფლება ნამდვილად აქვს - ცივი ზამთრის პირობებში ძალიან ბევრი თბება გაზით. თუმცა, ამ შეთხვევაშიც კი (თუ მართლა გაზი აფეთქდა), აბსოლუტურად არ არის გამორიცხული, რომ ეს აფეთქება დაგეგმილი იყო.

სხვათა შორის, ზავოსდსკოეს აფეთქების დროსაც, როცა რაიონის მილიციის შენობის მთელი სართული დაინგრა, თავდაპირველი ვერსია სწორედ საყოფაცხოვრებო უბედური შემთხვევა იყო. ჩეჩნეთის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსი დიდხანს ამტკიცებდა, რომ ზავოდსკოეში ბუნებრივი აირი აფეთქდა. თუმცა, მოგვიანებით ისიც გახდა ცნობილი, რომ ქვედა სართულზე ნაღმი იყო დამონტაჟებული.

განზრახ აფეთქების ვერსიას ის ფაქტიც აძლიერებს, რომ დაიღუპნენ ბატალიონ "ვოსტოკის" მეომრები - ქვედანაყოფის, რომელსაც საკმაოდ ბევრი მტერი ჰყავს ჩეჩნეთში. ბატალიონი "ვოსტოკი" მთლიანად ჩეჩენი ეროვნების მოსახლეობით იყო დაკომპლექტებული. სულიმ იამადაევს ("ვოსტოკის" უფროსი) ისევე, როგორც რამზან კადიროვს, უამრავი მშვიდობიანი მოქალაქის გატაცებაში და უგზო-უკვლოდ გაქრობაში მიუძღვის ბრალი.

გუშინ ამბოხებულ ჩეჩენთა ინტერნეტ-გვერდზე "კავკაზცენტრი" გაჩნდა ცნობა, რომ კურჩალოეს აფეთქება იჩქერიის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის მიერ ორგანიზებული სამხედრო ოპერაცია იყო. აღნიშნული ცნობის თანახმად, ოპერაცია განახორციელეს მაჯლისულ შურას (იჩქერიის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი) ოპერატიული ოპერაციების განყოფილების მოჯახედებმა. იქვე აღნიშნულია, რომ აფეთქების მსხვერპლი გაცილებით დიდი იყო (43 დაღუპული და 60-ზე მეტი დაჭრილი), თუმცა, "ოკუპანტებმა და ადგილობრივმა მარიონეტებმა" მთელი ღამე იმუშავეს, რათა დაღუპულთა რეალური რიცხვი დაემალათ.




მოკლედ

### დევნილი მოსახლეობის ქონების აღწერა დაიწყება

საქართველოს ხელისუფლება აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში დევნილი მოსახლეობის ქონების აღწერას და დაკანონებას იწყებს.

პრეზიდენტის შესაბამისი ბრძანებულების პროექტი გუშინ მინისტრთა კაბინეტმა განიხილა და იგი ძალაში მომავალი კვირიდან შევა. როგორც ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა გიორგი ხევიაშვილმა სპეციალურ ბრიფინგზე განმარტა, აღწერას და მასთან დაკავშირებულ ყველა საჭირო პროცედურას, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსთან ერთად, იუსტიციის და შინაგან საქმეთა სამინისტროები და აფხაზეთის ლეგიტიმური სტრუქტურები განახორციელებენ.

მინისტრის თქმით, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში აღწერილი იქნება დევნილთა საკუთრებაში არსებული მიწა, შენობა-ნაგებობები. ამ მიზნით გამოიყენება მიწის კადასტრის მონაცემები, ასევე - არქივში არსებული მასალები და ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მონაცემთა ბაზა.

დევნილ მოსახლეობას შესაძლებლობა ექნება შესაბამისი განცხადებით მიმართოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს. აღწერისთვის საჭირო ხარჯებს სამინისტრო და დონორი ორგანიზაციები გაიღებენ. სადავო შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა სასამართლოს განაჩენს ექნება. **ინტერპრესნიუსი**

### ხელისუფლება კომპენსაციის გაცემას აპირებს

საქართველოს ხელისუფლება ქართულ-ოსური კონფლიქტის დროს დაზარალებული მოსახლეობისთვის კომპენსაციის გაცემას აპირებს. როგორც გუშინ მთავრობის სხდომის შემდეგ ჟურნალისტებთან საუბრისას იუსტიციის მინისტრმა გია ქავთარაძემ განაცხადა, მოსახლეობისთვის ზარალის ანაზღაურება საქართველოს პრეზიდენტის სამშვიდობო გეგმის შემადგენელი ნაწილია. ამ პროცესის განსახორციელებლად იუსტიციის სამინისტრომ შეიმუშავა კანონპროექტი "ქართულ-ოსური კონფლიქტის დროს დაზარალებულთა ქონებრივი რესტიტუციის შესახებ". კანონის მიღების შემდეგ ჩამოყალიბდება სპეციალური კომისია, რომელიც თითოეულ კონკრეტულ ფაქტს შეისწავლის და განიხილავს. მინისტრის თქმით, ვენეციის კომისიის დელეგაციამ ამ ეტაპზე კანონპროექტს მაღალი შეფასება მისცა, თუმცა პოზიციების შეჯერება გაგრძელდება **ინტერპრესნიუსი**

### მუსლიმურ კარიკატურებს ფრანგული პრესაც აქვეყნებს

წინასწარმეტყველ მუჰამედის კარიკატურები პრესაში კვლავ გამოქვეყნდა. ამჯერად - ფრანგული ჟურნალის "შარლი ედოს" ფურცლებზე. როგორც ყოველკვირეული გამოცემის რედაქტორმა განაცხადა, როცა ექსტრემისტები შანტაჟის, ან ტერორის გზით ახერხებენ, დემოკრატიულ ქვეყნებს პრინციპულ საკითხებში უკან დაახევინონ, "ეს დემოკრატები დიდხანს ვერ გაძლებენ". სააგენტო "როიტერ"-ი გამოცემის წყაროზე დაყრდნობით იუწყება, რომ პოლიციამ რედაქციის შენობის და ზოგიერთი თანამშრომლის დაცვა გააძლიერა. ამასთან ერთად, როგორც ცნობილი გახდა, ბაღდადში საფრანგეთის საელჩომ ოთხი დღით მუშაობა შეაჩერა. წინასწარმეტყველ მუჰამედის კარიკატურები, რომელიც მუსლიმანურ სამყაროში ფართომასშტაბიანი საპროტესტო გამოსვლების მიზეზი გახდა, დღეს ისრაელის გაზეთმა "ჯერუსალემ პოსტმაც" გადაბეჭდა. გამოცემის რედაქციამ ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც სამშაბათს, პოპულარულმა ირანულმა გაზეთმა "ამშაჰრიმ" ევროპულ პრესაში გამოქვეყნებული კარიკატურების პასუხად, ჰოლოკოსტის თემაზე კარიკატურების კონკურსი გამოაცხადა. "კარიკატურულმა ომმა" უკვე 10-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ყველაზე მეტი ადამიანი ავღანეთში დაიღუპა. დღეს პოლიციამ ქალაქ ქალათში მანიფესტანტებს კვლავ ცეცხლი გაუხსნა. აქციის მონაწილეებმა რამდენიმე ბენზინმზიდი დაწვეს, შემდეგ კი ამერიკის სამხედრო ბაზის დალაშქვრა სცადეს.

ორი დღის წინ ქაბულში დემონსტრანტებმა ქვები და ცეცხლგამჩენი ნარევით სავსე ბოთლები, ე.წ. "მოლოტოვის კოქტეილები", დაუშინეს დანიის, ბრიტანეთისა და საფრანგეთის საელჩოებს. ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთში, ბრბომ ნატო-ს იმ სამხედრო ბაზაზე მიიტანა იერიში, სადაც ნორვეგიული ნაწილებია დისლოცირებული. ავღანეთის უშიშროების ძალებმა ოთხი თავდამსხმელი მოკლეს. გაერო-ს გენერალური მდივანი კოფი ანანი, ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის კოორდინატორი ჰავიერ სოლანა და ისლამური კონფერენციის ორგანიზაციის ხელმძღვანელი ეჯმელეთდინ იჰსანოღლუ ერთობლივი განცხადებით გამოვიდნენ, რომელშიც ყველა მხარეებს თავშეკავებისა და დიალოგისკენ მოუწოდეს. დანია შიშობს, რომ "კარიკატურული" სკანდალი, შესაძლოა, სერიოზულ კრიზისში გადაიზარდოს. ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ანდერს ფოგ რასმუსენმა განაცხადა, რომ სიტუაცია "არა ძალადობის, არამედ დიალოგის გზით" უნდა განიმუხტოს. მისივე თქმით, ექსტრემისტები ცდილობენ, შექმნილი ვითარება "კულტურათა შეტაკებამდე" მიიყვანონ. დანიის მთავრობამ ბოდიში ასეთი ფორმითაც არ მოიხადა. ოფიციალური კოპენჰაგენის პოზიცია უცვლელია - სახელმწიფო თავისუფალი პრესის პუბლიკაციებისთვის პასუხს არ აგებს. წინასწარმეტყველ მუჰამედის კარიკატურები პირველად 2005 წლის სექტემბერში ერთ-ერთ დანიურ გაზეთში გამოქვეყნდა. მას შემდეგ, რაც ნახატები რამდენიმე ევროპულმა გამოცემამ გადაბეჭდა, მუსლიმანურ სამყაროში მორწმუნეთა მასობრივი გამოსვლები დაიწყო.

*ინტერპრესნიუსი*

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . დიზაინი: გიორგი ხმალაძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია





# საქართველოს მაკროეკონომიკური მდგომარეობა: შედეგები და პერსპექტივები

პირველი გვერდიდან

თუ 2004 წელს ზრდის მთავარი მამოძრავებელი ძალა ნავთობსადენის მშენებლობა იყო, 2005 წელს მნიშვნელოვანი მატება შეინიშნებოდა საბანკო, ენერგეტიკის, კომუნიკაციების, ვაჭრობის და კვების გადამამუშავებელ სფეროებში.

განსაკუთრებით დამაიმედებელია საფინანსო სექტორში მიღწეული წარმატებები. 2005 წელს კერძო სექტორისთვის გაცემული კრედიტის მოცულობა 80 პროცენტით გაიზარდა. ეს მართლაც მნიშვნელოვანი შედეგია. თუმცა, აქვე საყურადღებოა, რომ საფინანსო სექტორს ჯერ კიდევ არ მიუღწევია თავისი პოტენციალის მაქსიმუმისთვის. საქართველოში მონეტიზაციის მაჩვენებელი, ანუ ფართო ფულის შეფარდება მშპ-სთან 16 პროცენტს შეადგენს. ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ ქვეყნის ფინანსური სისტემა ჯერ კიდევ საგრძნობლად ჩამოუვარდება თუნდაც ბალტიისპირეთის ქვეყნების დონეს, სადაც მონეტიზაციის მაჩვენებელი 50 პროცენტს აჭარბებს.

სამომხმარებლო ფასების ინფლაციამ 2005 წელს 6,2 პროცენტი შეადგინა, მაშინ, როდესაც წინასწარი პროგნოზით ინფლაცია სულ ცოტა 7 პროცენტი უნდა ყოფილიყო. უფრო მეტიც, 2004 წელთან შედარებით 2005 წელს აღინიშნა ინფლაციის მაჩვენებლის კლება (2004 წელს ფასები 7.5 პროცენტით გაიზარდა). ინფლაციის მიღწეული შედეგი მნიშვნელოვნად მოქმედებს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პერსპექტივაზე, ვინაიდან, დადგენილია, რომ როდესაც ფასების ზრდა აჭარბებს 6 პროცენტს, ამ შემთხვევაში იგი უარყოფითი გავლენის მოხდენას იწყებს ეკონომიკურ ზრდაზე. ინფლაციის დაბალი დონის შენარჩუნება მოხერხდა გააზრებული მაკროეკონომიკური პოლიტიკის გატარების შედეგად. მთავრობისა და ეროვნული ბანკის გაწონასწორებული პოლიტიკის წყალობით სარეზერვო ფულის მასამ მხოლოდ 20 პროცენტით მოიმატა, რამაც გადამწყვეტი გავლენა იქონია კიდევაც დაბალი ინფლაციის შენარჩუნების პროცესში.

ასევე შთამბეჭდავია ფისკალური პოლიტიკის მიღწევებიც. სავალუტო ფონდის წინასწარი შეფასებებით ბიუჯეტის დეფიციტი დაახლოებით 33 პროცენტია. ასეთი მაჩვენებელი კი, ჩვენი აზრით, მოკლევადიანი მაკროეკონომიკური სტაბილურობისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს. იგი ასევე არ უშლის ხელს საშუალოვადიან ფისკალურ მდგრადობას.

სტაბილური იყო საგარეო სექტორში მიმდინარე პროცესებიც. ლარის ნომინალური გაცვლითი კურსი წლის განმავლობაში 1 დოლარი - 1.8 ლარი ნიშნულის ირგვლივ მერყეობდა. რა თქმა უნდა, არასასურველია ლარის გაცვლითი კურსის კონტროლი ეროვნული ბანკის მიერ, მაგრამ მისასალმებელია ბანკის მიერ გადადგმული ნაბიჯები გაცვლითი კურსის უეცარი და მასშტაბური რყევების თავიდან ასაცილებლად.

2005 წელს სტაბილური მაკროეკონომიკური გარემოს შენარჩუნებას მრავალმა ფაქტორმა შეუწყო ხელი, თუმცა, ყველაზე აღსანიშნავი მაინც საქართველოს მთავრობისა და ეროვნული ბანკის მიერ გატარებული ფრთხილი და გააზრებული პოლიტიკაა.

გასულ წელს მიღწეული შედეგების ფონზე საინტერესოა, არსებობს თუ არა ოპტიმიზმის საფუძველი წლევანდელი წელიწადისთვის? მოვლენათა განვითარება 2006 წელს ჯერ კიდევ ბურუსითაა მოცული. თუმცა, აქვე ცხადია, რომ წელს ქვეყანა რიგი პრობლემების წინაშე დადგება. მსგავსი პრობლემები გასულ წელსაც წამოიჭრა, თუმცა მოსალოდნელია, რომ წელს ისინი უფრო ფართო მასშტაბით იჩენს თავს.

მაგალითად, წელს მოსალოდნელია დიდი ოდენობით კაპიტალის შემოდინება. შედეგად, ეროვნული ბანკი კვლავ დადგება დილემის წინაშე - ქვეყანაში ან ეროვნული ვალუტა უნდა გამყარდეს, ან გაიზარდოს ინფლაციის დონე. 2004 წელს კაპიტალის შემოდინების დროს ეროვნულმა ბანკმა სცადა ვალუტის გამყარების თავიდან არიდება და ჭარბი უცხოური ვალუტის შესყიდვა. შესყიდულ უცხოურ ვალუტაში ეროვნულმა ბანკმა ლარი გადაიხადა და, შესაბამისად, გაზარდა ლარის მიწოდება ბაზარზე (სარეზერვო ფული). 2004 წელს სარეზერვო ფული 44 პროცენტით გაიზარდა, რამაც გამოიწვია კიდეც ორნიშნა ინფლაცია 2005 წლის დასაწყისში. უკვე დაშვებული შეცდომის თავიდან ასარიდებლად, ეროვნულ







ბანკს საშუალება აქვს მთავრობასთან ერთად შეიმუშავოს ალტერნატიული მონეტარული ინსტრუმენტები, როგორიცაა, მაგალითად სადეპოზიტო სერტიფიკატები და მთავრობის ფასიანი ქაღალდები. ეს ინსტრუმენტები ეროვნულ ბანკს საშუალებას მისცემს, გაზარდოს საბაზრო ოპერაციების მასშტაბი.

ქვეყნის წინაშე მეორე სირთულეც დგას: ქვეყანამ უნდა შეინარჩუნოს ის ფისკალური დისციპლინა, რომელიც 2005 წელს აჩვენა. გასული წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობამ და ფინანსთა სამინისტრომ შეძლეს დიდი რაოდენობით ფინანსურ ნაკადებთან გამკლავება: გაზრდილ საგადასახადო შემოსავლებსა და ხარჯებს არ გამოუწვევია ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილურობის დარღვევა. 2006 წელს კიდევ უფრო გაიზრდება როგორც შემოსავლები და პრივატიზაციისგან მიღებული თანხები, ასევე - ხარჯები. თუმცა, გართულდება გასული წლის ანალოგიური პროგრესის განმეორება შემოსავლების მობილიზების მხრივ. შემოსავლების მობილიზების ნებისმიერი შეფერხება კი, ბიუჯეტის დეფიციტს გაზრდის და შესაბამისად გააძლიერებს ინფლაციურ ზეწოლას.

ზემოთ აღნიშნული სირთულეების გარდა, არსებობს რიგი საკითხებისა, რომელთა გადაჭრის აუცილებლობაც უახლოეს მომავალში იჩენს თავს. ეს საკითხები უდავოდ მოახდენს გავლენას 2006 წლის ეკონომიკის განვითარებაზე:

## საგადასახადო ადმინისტრაციის ეფექტურობის და გამჭვირვალობის ამაღლება

მიუხედავად იმისა, რომ 2004-2005 წლებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საგადასახდო ადმინისტრაცია, კვლავაც შესაძლებელია შემდგომი პროგრესის მიღწევა. კერძოდ, უნდა გაუმჯობესდეს გადამხდელთა მომსახურება (მათ შორის, ინფორმაციის მიწოდება გადამხდელისთვის); გაუმჯობესდეს საგადასახადო აუდიტის პრაქტიკა, ამაღლდეს მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის მუშაობის ეფექტურობა და გაუმჯობესდეს დამატებითი ღირებულების გადასახადის ადმინისტრირება.

## ვაჭრობის ლიბერალიზაცია

მთავრობამ პარლამენტს წარუდგინა კანონის პროექტი, რომელიც ტარიფების მნიშვნელოვან შემცირებას ითვალისწინებს. წარმოდგენილი კანონპროექტი გვთავაზობს მაქსიმალური ტარიფის განაკვეთის შემცირებას 30-დან 12 პროცენტამდე; ტარიფის დაწევა ხელს შეუწყობს ქართული წარმოების ეფექტურობის გაუმჯობესებას და შეამცირებს ფასებს ზოგიერთ სამომხმარებლო საქონელზე. მიუხედავად ამისა, დღის წესრიგში უნდა დადგეს ვაჭრობის შემდგომი ლიბერალიზაციის საკითხი, რათა საქართველო გადაიქცეს კიდევ უფრო ღია და ექსპორტზე ორიენტირებულ ქვეყნად. ასეთი რეფორმები შეიძლება გულისხმობდეს ტარიფების შემდგომ შემცირებას, მაგალითად, წარმოების შუალედურ პროდუქციაზე (კაპიტალურ საქონელზე).

## საბანკო რეფორმა

2005 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა ბანკების მიერ კერძო სექტორზე გაცემული კრედიტის მოცულობა. ეს უდავოდ მისასალმებელი ტენდენციაა, თუმცა აღსანიშნავია, რომ საბანკო სექტორის შემდგომი დახვეწა საჭიროებს დამატებით რეფორმებს. საბანკო სექტორმა უნდა აიმაღლოს მოსახლეობაში ნდობა და ავტორიტეტი. პირველ ეტაპზე, ასეთი რეფორმების ფარგლებში უნდა დაიხვეწოს საბანკო კანონმდებლობა, რათა ბანკების საზედამხედველო სამსახურს საშუალება ჰქონდეს გააკონტროლოს ბანკების მმართველების შესაბამისობა ე.წ. "შესაბამისობისა და შესაფერისობის" კრიტერიუმებთან. ასევე ყურადღების ღირსია ბანკების კონსოლიდაციის საკითხიც. ამ მიზნის მისაღწევად უნდა გაიზარდოს ბანკების მინიმალური კაპიტალის მოთხოვნა. მიზანშეწონილია, აგრეთვე, ზოგიერთი მოძველებული ფინანსური ნორმის გაუქმებაც. მაგალითად, ჯერ კიდევ მოქმედებს შეზღუდვა საწარმოს სალაროში არსებული ნაღდი ფულის რაოდენობის შესახებ. ამგვარი ნორმები საბჭოთა პერიოდის გადმონაშთია და სასურველია მათი გაუქმება.

## საკუთრების უფლება

ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში საქართველოში აქტიური მსჯელობა მიმდინარეობს ქვეყანაში არსებული ბიზნეს-გარემოს შესაფასებლად. თუმცა, ის ცნება, რასაც ბიზნეს-გარემოს ვუწოდებთ, ხშირ შემთხვევაში არ მოიცავს ყველა იმ სირთულეს, რასაც საქართველოში მოღვაწე კერძო სექტორი აწყდება. უფრო კორექტული იქნებოდა, თუ ვისაუბრებდით პირადი ქონების ხელშეუხებლობაზე (ძალისმიერი ქმედებების, დაზიანების ან კონფისკაციისაგან) ანუ იმ წესებზე, რომლებიც არეგულირებენ სახელმწიფოს დამოკიდებულებას კერძო სუბიექტების ქონების მიმართ.

სახელმწიფოს მიერ კერძო საკუთრების უფლების პატივისცემა მრავალ ასპექტში შეიძლება გამოიხატებოდეს, მათ შორის: დაბეგვრა, სახელმწიფოს მხრიდან კერძო საქმიანობის რეგულირება და ლიცენზირება (მაგალითად, სანიტარიული შემოწმება) და დავების მოგვარება დამოუკიდებელი მოსამართლის მიერ. მართალია, ბოლო ორი წლის განმავლობაში საგრძნობლად გაუმჯობესდა საკუთრების უფლების დაცვის საკითხი, მაგრამ იგი კვლავაც მოითხოვს შემდგომ დახვეწას. მაგალითად, გამჭვირვალე და ობიექტური საგადასახადო არბიტრაჟის სისტემის ჩამოყალიბება მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს გადამხდელებში რწმენის განმტკიცებას საგადასახადო სისტემის მიმართ და საგადასახადო დისციპლინის გაუმჯობესებას. მეორე მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ იმ გარემოებების მკაფიოდ განსაზღვრა, თუ როდის შეიძლება იყოს მისაღები საწარმოს დახურვა ან გამოძიების ჩატარება, თუ არსებობს ეჭვი, რომ საწარმო თავს არიდებს საგადასახადო ვალდებულებებს. ინვესტორების დასაინტერესებლად და კერძო კაპიტალის მოსაზიდად აუცილებელი წინაპირობაა სახელმწიფოს მიერ კერძო საკუთრების უფლების უზენაესი აღიარება.

## სახელმწიფო სექტორის როლი

დაბოლოს, საჭიროა დავფიქრდეთ სახელმწიფო სექტორის როლზე საქართველოს ეკონომიკაში. ვარდების რევოლუციამდე ასეთ საკითხზე საუბარი ზედმეტიც კი იყო, ვინაიდან სახელმწიფო აღიქმებოდა, როგორც წარუმატებელი და არაეფექტური მექნიზმი. დღეისათვის სახელმწიფო სექტორის მიერ ეფექტური საჯარო პოლიტიკის გატარების წყალობით, საზოგადოებაში შეცვლილია სახელმწიფოს აღქმა. შესაბამისად, ბუნებრივია, რომ საქართველოში დავფიქრდეთ სახელმწიფო სექტორის ზომასა და ფუნქციებზე. სახელმწიფოს მასშტაბი შეგვიძლია განვსაზღვროთ მისი დანახარჯებით მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში, ანუ დავსვათ კითხვა: მთლიანი შიდა პროდუქტის რამდენი პროცენტი (10, 20, თუ 50) უნდა მოიხმაროს მთავრობამ? თუ მთავრობა დიდი ზომისაა, იგი შეძლებს უფრო მრავალფეროვანი მომსახურება გაუწიოს საზოგადოებას, მაგრამ საზოგადოებასაც ნაკლები არჩევანის საშუალებას უტოვებს. მაგალითად, საფრანგეთში საჯარო სექტორის ხარჯები მშპ-ს 50 პროცენტს აღემატება, მაშინ როდესაც სინგაპურში ეს მაჩვენებელი 14 პროცენტია. ამდენად, ცხადია, რომ არ არსებობს ერთადერთი სწორი პასუხი ამ კითხვაზე. უფრო მნიშვნელოვანია, რომ ეს საკითხი მთავრობისა და საზოგადოების კონსენსუსის შედეგად გადაწყდეს.

**ამ სტატიაში გამოთქმული მოსაზრებები პირადად ავტორის თვალსაზრისია და არ წარმოადგენს საერთაშორისო სავალუტო ფონდის ან მისი აღმასრულებელი დირექტორების შეხედულებებს ან პოლიტიკას.**

## ეჭვმიტანილი საავადმყოფოში პოლიციის კონტროლის ქვეშ იმყოფება

სამართალდამცველებმა გუშინ, გვიან ღამით, ქუთაისში, ყაჩაღობის ფაქტზე ერთ-ერთი დამნაშავის დაკავება შეძლეს. ყაჩაღური თავდასხმა რაზმაძის ქუჩაზე, ბედინეიშვილების ოჯახზე მოხდა.

ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, პოლიციამ სახლს ალყა შემოარტყა. ორმხრივი სროლის დროს მძიმედ დაიჭრა ყაჩაღობაში ეჭვმიტანილი როლანდ ხაჭაპურიძე, რომელიც პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ სამხარეო კლინიკურ საავადმყოფოში მოათავსეს.

როგორც იმერეთის სამხარეო პოლიციის უფროსი ლევან კახიანი აცხადებს, გაქცევა შეძლო კიდევ ორმა პიროვნებამ, რომელთაგან ერთ-ერთი, ასევე მძიმედ არის დაჭრილი. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, მიმდინარეობს გამოძიება.

*ინტერპრესნიუსი*

## პოლიციამ ფულის გამოძალვაში ეჭვმიტანილი მამა-შვილი დააკავა

თბილისის შს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა თბილისში, მეტროს სადგურ "ნაძალადევის" მიმდებარე ტერიტორიაზე ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად ფულის გამოძალვაში ეჭვმიტანილი მამა-შვილი დააკავეს.

როგორც შს სამინისტროში აცხადებენ, დაკავებულია 42 წლის გ. მჭედლიძე, მეტსახელად "ტურა" და მისი შვილი, 18 წლის ა. მჭედლიძე, რომლებიც, ოჯახის წევრების ფიზიკური განადგურების მუქარით, ერთ-ერთ მოქალაქეს ბინის გაყიდვისას ჩაშლილი გარიგების სანაცვლოდ, 2 ათას ლარს სძალავდნენ. გამოძალული თანხის ნაწილი ამოღებულია, მიმდინარეობს გამოძიება.

*პრაიმ-ნიუსი*

## იუსტიციის სამინისტრო სახელმწიფოს წინააღმდეგ შეტანილი სარჩელების განხილვას შეეცდება

"საქართველოს იუსტიციის სამინისტრო სახელმწიფოს წინააღმდეგ საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოებში შეტანილი სარჩელების განხილვასა და სასამართლო დავის მოგებას შეეცდება. ამ მიზნით იგი აწარმოებს საერთაშორისო იურიდიულ ფირმებთან კონსულტაციებს," - აცხადებს იუსტიციის მინისტრი გია გაქვთარაძე.

მინისტრის განმარტებით, მან საქართველოში კომპეტენტური იურიდიული კომპანია, სამწუხაროდ, ვერ აღმოაჩინა, რის გამოც, გრძელდება კონსულტაციები უცხოურ კომპანიებთან.

"საერთაშორისო არბიტრაჟში გვაქვს რამდენიმე დავა. ჩემი მოთხოვნით, სამი საქმე გადმოგვეცა იუსტიციის სამინისტროს, ვინაიდან არბიტრაჟს სპეციფიკური ცოდნა სჭირდება," - აცხადებს ქავრათაძე.

ეს სამი კომპანიაა" "Ares International S.r I" და "Metalgeo S.r.I", "Raffiesen Zentralbank oSterreich A.G" და "Tramex International". სამივე კომპანია საქართველოს 439 მილიონ დოლარს (დამატებული პროცენტები) ედავება.

იუსტიციის მინისტრის ინფორმაციით, ორ კომპანიასთან სასამართლო დავის განხორციელებისთვის უცხოელ იურისტებთან კონსულტაციები კვლავ გრძელდება, ხოლო "Tramex"-თან დაკავშირებით, იურიდიული ფირმა დათანხმებულია.

ადმინისტრაციული ხარჯებისთვის მთავრობამ 80 ათასი დოლარი გამოყო, რათა არბიტრაჟი ჩატარდეს. იუსტიციის მინისტრი არ ასახელებს იმ თანხის რაოდენობას, რომელიც იურიდიულმა კომპანიამ ჰონორარის სახით მოითხოვა. მისი თქმით, სხვა იურიდიულ ფირმებთან კონსულტაციები ჯერ არ დასრულებულა.

საქართველოს დავალიანება ფირმების მიმართ ასეთია: "Tramex" - 350 მლნ დოლარი, "Raiffeisen Zentralbank" - 40 მლნ დოლარი, დამატებული პროცენტები, ხოლო "Metalgeo" - 49 მლნ დოლარი (დამატებული პროცენტები)".

*ჯი-ეიჩ-ენი*

## უფლებათადამცველები ხელისუფლებას დევნაში ადანაშაულებენ

ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი ორგანიზაციის წევრებზე ზეწოლის ფაქტების გახშირების გამო შეშფოთებას გამოთქვამს.

როგორც ცენტრის წარმომადგენლებმა სპეციალურ პრესკონფერენციაზე განაცხადეს, 1-2 თებერვალს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა ორგანიზაციის ოფისში, ყოველგვარი ნებართვის გარეშე, ორგანიზაციის საქმიანობის გაცნობის მიზეზით, რეიდი განახორციელეს და შეეცადნენ ორგანიზაციის წარმომადგენლების დაშინებას. ორი დღის წინ კი, შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრტერორისტული დეპარტამენტის თანამშრომელმა თენგიზ ტყებუჩავამ ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრის აღმასრულებელ დირექტორს უჩა ნანუაშვილს დაურეკა და აცნობა, რომ დეპარტამენტის უფროსს გია გაბუნიას მასთან გასაუბრება სურდა. ტყებუჩავამ თავი აარიდა შეკითხვას, თუ რა საკითხზე და რატომ უნდა გამოცხადებულიყო ნანუაშვილი შს სამინისტროში.

როგორც ცენტრში აცხადებენ, ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი გასული წლის განმავლობაში რამდენჯერმე გახდა მუქარის და ზეწოლის ობიექტი.

"მაგალითად, პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა ზაურ კვარაცხელიამ დამსმენი და მოღალატე უწოდა ორგანიზაციის ხელმძღვანელს. ასევე იყო მუქარის ზარები პრემიერ-მინისტრის მრჩევლის ნიკო ნათენაძის მხრიდან," - აცხადებენ ცენტრში.

ორგანიზაციის წევრთა განცხადებითვე, 2005 წლის 31 დეკემბერს კახეთის გუბერნატორის მოადგილემ გია პაპუაშვილმა ცენტრის გურჯაანის ოფისის კოორდინატორი და ადგილობრივი გაზეთის "იმედის" რედაქტორი გელა მთივლიშვილი სიტყვიერად შეურაცხყო და გურჯაანის გამგებლის მისაღებიდან ძალის გამოყენებით გამოაგდო. "მთივლიშვილის წინააღმდეგ ძალადობა მანამდეც არაერთხელ განხორციელდა. კერძოდ, 2005 წლის 22 ივნისს მას უცნობმა პირებმა სასტიკად სცემეს, 15 ივლისს და 23 ნოემბერს კი სახლში ხელყუმბარა შეუგდეს. მთივლიშვილი სიკვდილს შემთხვევით გადაურჩა," - აცხადებენ ორგანიზაციის წევრები.

ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე მიიჩნევს, რომ ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან ადგილი აქვს ორგანიზაციაზე უხეშ ზეწოლას და მისი საქმიანობის შეჩერების მცდელობას.

*ინტერპრესნიუსი*

**გაეროს განვითარების პროგრამა და პრეზიდენტთან არსებული განვითარებისა და რეფორმების ფონდი**

გაეროს მმართველობის რეფორმის პროგრამის "ნორმატიული აქტების ანალიზი" ქვეპროექტის ფარგლებში

აცხადებს ტენდერს კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვაზე

**დეტალური ინფორმაცია იხილეთ ვებ-გვერდზე www.undp.org.ge**

## შს მინისტრის ინიციატივა - დარტყმა ჯიბის ქურდებსა და შავ ბიზნესზე

პირველი გვერდიდან

შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ შს მინისტრის ინიციატივით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ და ქვეყანაში მოქმედმა მობილური კავშირგაბმულობის კომპანიებმა სპეციალური სისტემა შეიმუშავეს, რომლის საშუალებითაც, პოლიციაში განცხადების შესვლისთანავე, მოპარული ტელეფონი GSM სისტემიდან გაითიშება და მისი გამოყენება შეუძლებელი გახდება.

25 იანვრიდან ამ მეთოდის გამოყენებით სისტემიდან უკვე გაითიშა 1000-ზე მეტი ის ტელეფონი, რომლის მოპარვასთან დაკავშირებით პოლიციაში შეტყობინება იყო შესული და, შესაბამისად, აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმე. ტელეფონების ახალმა მფლობელებმა მოსალოდნელი გათიშვის შესახებ შეტყობინება SMS-ის საშუალებით წინასწარ მიიღეს.




შინაგან საქმეთა მინისტრის, ვანო მერაბიშვილის განცხადებით, ამ მეთოდით აღიკვეთება მობილური ტელეფონების ქურდობა და მოპარული ტელეფონების ბიზნესი.

**"მობილური ტელეფონების ყაჩაღობის 80 პროცენტი ნარკომანების მიერ ხდება. სწორედ ამიტომაც, "ჯეოსელთან" და "მაგთისთან" მიმდინარეობდა მოლაპარაკება და ამუშავდა მექანიზმი, რომლის მიხედვითაც, მოპარული ტელეფონი, რომლის შესახებაც პოლიცია ინფორმაციას მიიღებს, სამ წუთში ქსელიდან გაითიშება, მისი სისტემური ბლოკირება მოხდება, ის ფუნქციას დაკარგავს. ანუ, ტელეფონი გამოუსადეგარი გახდება. ამ მექანიზმის ამუშავება ჩემი იდეაა და ძალზე ვამაყობ, რადგან ეს "ბიზნესი" - მობილური ტელეფონების ყაჩაღობა მოკვდება,"** - განაცხადა ვანო მერაბიშვილმა.

*24 საათი*

## ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ უმსხვილესი შიდა გამოძიება დაიწყო

მასობრივი ონფორმაციის საშულებებში სპეცსამსახურების საიდუმლო ოპერაციების შესახებ მონაცემების გაჟონვაში კავშირის მქონე თანამშრომლების გამოსავლენად ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორმა პორტერ გოსმა, უკანასკნელი წლების მანძილზე უმსხვილესი შიდა გამოძიების დაწყების ბრძანება გასცა.

ტელეკომპანია ABC-ის ცნობით, სადაზვერვო უწყების შეფმა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყველა თანამშრომელს ელექტრონული ფოსტით დაუგზავნა შეტყობინება, რომელშიც გამოთქვა ვარაუდი, რომ ჟურნალისტებისთვის საიდუმლო ინფორმაციის გადაცემით დაკავებულია ადამიანების ძალიან მცირე ჯგუფი, მაგრამ მათი საქმიანობა განუსაზღვრელად ვნებს მთელი უწყების რეპუტაციას.

იმ ანონიმურ წყაროზე დაყრდნობით, რომლისთვისაც შეტყობინების შინაარსი ცნობილია, ტელეკომპანია აღნიშნავს, რომ გამოძიების დაწყება განაპირობა შარშან გახმაურებულმა და დიდი აჟიოტაჟის გამომწვევმა ინფორმაციამ ევროპაში ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს საიდუმლო ციხეების არსებობის შესახებ, სადაც ტერორიზმში ეჭვმიტანილების დაკითხვები წარმოებდა და ასევე იმ საიდუმლო პროგრამის შესახებ, რომელიც სადაზვერვო უწყების მიერ ეჭვმიტანილების საზღვარგარეთის ქვეყნების ციხეებში გადაგზავნას უზრუნველყოფდა.

2005 წელს გაზეთ "ვაშინგტონ პოსტში" ამ თემაზე გამოქვეყნებულმა სტატიამ საერთაშორისო სკანდალი გამოიწვია. ამასთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყეს როგორც ადამიანის უფლების დამცველმა ორგანიზაციებმა, ისე ევროპის საბჭომ. თუმცა, ამგვარი ციხეების არსებობა ჯერჯერობით არ მტკიცდება.

გოსის შეტყობინებაში კი ნათქვამია, რომ სადაზვერვო სამმართველოს ნებისმიერი თანამშრომელი, რომელზეც ეჭვს მიიტანენ, ვალდებული იქნება გაიაროს არაგეგმიური შემოწმება სიცრუის დეტექტორზე. ჟურნალისტებისთვის ინფორმაციის მიწოდებაში "გამოჭერილებს" კი ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის სამინისტრო სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას დააკისრებს.

ჩვეულებრივ, სადაზვერვო სამმართველოში მუშაობის დაწყებამდე ყველა აგენტი მოწმდება სიცრუის დეტექტორზე, შემდეგ იგივე პროცედურა ყოველ ხუთ წელში მეორდება. ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილი თანამშრომლები იხსენებენ, რომ ასეთი მასშტაბის შიდა გამოძიება უკანასკნელ ათწლეულში მხოლოდ ორჯერ ჩატარდა და სამსახურში სექსუალურ ძალადობასა და სამმართველოს ფინანსური სახსრების მითვისებას უკავშირდებოდა.

ახალი შიდა გამოძიების დაწყებისა და თანამშრომლებისთვის დაგზავნილი შეტყობინების შესახებ გავრცელებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო ოფიციალურ კომენტარს არ აკეთებს.

სამაგიეროდ, გამოძიების წამოწყების შესახებ პორტერ გოსმა 2 თებერვალს, სენატში, დაზვერვის კომიტეტის მოსმენაზე განაცხადა. მაშინ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორმა თქვა: **"ვფიქრობ, რომ საიდუმლოს შენახვის კულტურის ეროზიასთან გვაქვს საქმე და ახლა მის აღდგენას ვცდილობთ."**

გარდა ამისა, მან იმედი გამოთქვა, რომ დამნაშავეებს გამოავლენენ, რის შემდეგაც ამ საქმით დიდი ჟიური დაკავდება - დაკითხავს ჟურნალისტებს და აიძულებს, ინფორმაციის წყაროები დაასახელონ.

*24 საათი*

## ძარცვა "მძინარე ვირუსით"

რუსმა მძარცველებმა, კომპიუტერების "მძინარე ვირუსით" დაავადების შედეგად, საფრანგეთში გახსნილი პირადი საბანკო ანგარიშებიდან ერთ მილიონ ევროზე მეტის მოპარვა შეძლეს. საფრანგეთის ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ამ ვირუსის დახმარებით თაღლითებს შეუძლიათ სრული კონტროლი მოიპოვონ საბანკო ანგარიშებზე და რამდენიმე წამში გამოაცარიელონ კიდეც. ერთ-ერთი ასეთი ოპერაციის შედეგად ბანკის კლიენტმა 40 ათასი ევრო დაკარგა.

მსგავსი ძარცვის შესახებ პირველი შეტყობინება ფრანგმა სამართალდამცველებმა 2004 წლის ნოემბერში მიიღეს, როდესაც ბანკის კლიენტმა აღმოაჩინა, რომ მისი ანგარიშიდან სოლიდური თანხა გაქრა. პოლიციის ცნობით, ამის შემდეგ ასეთ შეტყობინებებს სამ კვირაში ერთხელ მაინც ღებულობდნენ. ჯამში კი, 11 თვის მანძილზე სხვადასხვა საბანკო ანგარიშებიდან მილიონ ევროზე მეტია მოპარული.

პოლიციის ცნობით, ეს ვირუსი კომპიუტერში ელექტრონული ფოსტით ან ინტერნეტ-გვერდის მეშვეობით ხვდება და მანამდე "სძინავს", სანამ მომხმარებელი კონტაქტს დაამყარებს ონლაინ საბანკო ანგარიშთან. როგორც კი ეს მოხდება, ვირუსი აქტიურდება და იწერს საბანკო ანგარიშის პაროლსა და კოდს, რომლებიც მერე ბოროტმოქმედებს ეგზავნებათ. მიღებულ ინფორმაციას ისინი იმის შესამოწმებლად იყენებენ, აქვს თუ არა კლიენტს ანგარიშზე ფული, რის შემდეგაც მის ფულად სახსრებს მესამე პირის ანგარიშზე რიცხავენ. ესენი, ეგრეთ წოდებული "ჯორები" არიან, ვინც საერთო თანხის 5-10 პროცენტის საფასურად საკუთარი ანგარიშების თაღლითების ხელში ჩაგდებას დათანხმდა. თუმცა, ისიც არ არის გამორიცხული, ამ პირებმა საერთოდ არ იცოდნენ, რომ მათ კომპიუტერებს ძარცვისთვის იყენებენ.

პოლიცია ირწმუნება, რომ ეს ოპერაციები ყალბი კომპანიების გავლით არის ორგანიზებული და მათ შორისაა ამერიკული კომპანია, სახელწოდებით World Transfer.

ამჟამად, საფრანგეთის პოლიცია აქვეყნებს ცნობას იმის შესახებ, რომ "მძინარე ვირუსებით" ქურდობის ბრალდებით, მოსკოვსა და სანკტ-პეტერბურგში 20-30 წლის ათამდე რუსი თაღლითი და ძარცვის სქემის რამდენიმე უკრაინელი ორგანიზატორი დააკავეს.

მიუხედავად ამისა, ექსპერტები ძარცვის ამ მეთოდის გამოყენებას შემდგომშიც არ გამორიცხავენ და კომპიუტერული მეკობრეებისგან დაცვის ერთადერთ საშუალებად თანამედროვე ანტივირუსული პროგრამების გამოყენებას მიიჩნევენ.

**"მათი საბანკო ანგარიშები, ვინც საფრანგეთში ძარცვის მსხვერპლი გახდა, იმიტომ აღმოჩნდა ადვილი ხელმისაწვდომი, რომ კომპიუტერები არ ჰქონდათ შესაბამისად დაცული,"** - ამბობს კომპიუტერული უსაფრთხოების დაცვის ექსპერტი ნიკოლა ვუარე.

*24 საათი*

## "არასრულწლოვანებში დანაშაულს სოციალური მდგომარეობა განაპირობებს"

სამოსამართლეო სწავლების ცენტრში მოსამართლეებს სემინარი ფსიქოლოგმა ნანა ჩაჩუამ ჩაუტარა. სემინარის თემა არასრულწლოვანთა საქმეების განხილვასთან დაკავშირებული თავისებურებები, აგრესია, აგრეთვე ოჯახი და საზოგადოება იყო. ფსიქოლოგის მტკიცებით, არასრულწლოვანებში დანაშაულს სოციალური მდგომარეობა განაპირობებს. "ასაკი 14-დან 18 წლამდე მერყეობს. 14 წლამდე მოზარდზე ოჯახური და საზოგადოებრივი მდგომარეობა თავის გავლენას ახდენს. განაჩენის გამოტანის დროს მოსამართლეებმა მიზეზები უნდა გაითვალისწინონ," - აცხადებს ნანა ჩაჩუა. მისივე განმარტებით, მოზარდებს განსაკუთრებულად აქვთ სამართლიანობის შეგრძნება. როდესაც ისინი ამას ვერ აღწევენ, მათში აგრესია ჭარბობს.

სემინარზე გამოიკვეთა მოსაზრება, რომ კანონი არ იძლევა საშუალებას, სასჯელის გამოტანის დროს მოსამართლემ და პროკურორმა მიზეზშედეგობრივი კავშირები გაითვალისწინოს და ამის გამო, მოზარდს მინიმალური სასჯელი მიუსაჯოს.

ნანა ჩაჩუა აცხადებს, რომ ნებისმიერ საქმეს უნდა შევხედოთ კანონის თვალით, მაგრამ აუცილებელია ასეთ შემთხვევაში ფსიქოლოგების დახმარებაც.

სემინარის შემდეგ მოსამართლეებმა აღიარეს, რომ განაჩენზე მუშაობისას მათთვის აუცილებელია მოზარდის შესახებ ყველა დეტალის ცოდნა. ასეთ შემთხვევაში, პროკურორი, ადვოკატი და მოსამართლე, ერთიანი დადებითი მიზნისთვის უნდა იბრძოდნენ და ითვალისწინებდნენ იმას, რომ მოზარდის ასაკი ის ასაკია, როცა მან არ იცის საკუთარი საქციელის კვალიფიკაცია, ანუ არ იცის, როგორ კვალიფიცირდება კანონით მის მიერ ჩადენილი საქციელი.

ნანა ჩაჩუა აცხადებს, რომ აუცილებელია მოზარდებს სასწავლო და შრომითი თერაპია ჩაუტარდეს. გარდა ამისა, სრულყოფილად იცოდნენ ის კანონები, რაც მათ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში შეიძლება შეეხოთ. როგორც ფსიქოლოგი განმარტავს, კარგი იქნება, თუკი ანალოგიური სემინარები პროკურორებს და ადვოკატებსაც ჩაუტარდებათ.

*ჯი-ეიჩ-ენი*

### უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

______________________________

**ა ნ კ ე ტ ა**

**სახელი, გვარი**..............................

**ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი**..............................

**საკონტაქტო ტელეფონი**..............................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპის" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

[illegible]

1. მეტროს სადგური "[illegible]" ([illegible]);
2. მეტროს სადგური "[illegible]";
3. მეტროს სადგური "[illegible]";
4. მეტროს სადგური "[illegible]";
5. მეტროს სადგური "[illegible]";
6. მეტროს სადგური "[illegible]";
7. მეტროს სადგური "[illegible]", ([illegible] მეტროს სადგური "[illegible]");
8. მეტროს სადგური "[illegible]";
9. მეტროს სადგური "[illegible]";
10. [illegible] 45 "[illegible]" [illegible] გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, [illegible] თბილისი, წერეთლის გამზ. 77 იურიდიული ოფისი "გაპი".



# "თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი
თორნიკე ბერიშვილი

# სპექტაკლი, რომლის სანახავად აფხაზეთიდანაც ჩამოდიან

*სოხუმის თეატრი თავისი 120 წლის იუბილეს ღირსეულად შეხვდა. გურამ ოდიშარიას პიესის მიხედვით თემურ ჩხეიძემ დადგა ისტორიული სპექტაკლი – "ზღვა, რომელიც შორია...". თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს სპექტაკლი ქართულ-აფხაზური შერიგების გზაზე გადადგმული პირველი რეალური ნაბიჯია. ერთად გაზრდილი აფხაზისა და ქართველის დიალოგში აშკარად იგრძნობა, რომ ამ კონფლიქტისთვის ლოგიკური მშვიდობიანი დასასრული იქნებოდა. ასეთივე აზრი აქვს სოხუმის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელსა და დირექტორს დიმიტრი ჯაიანსაც, რომელიც სწორედ იმის გამო წუხს, რომ საქართველოს ხელისუფლება სპექტაკლის შექმნის ფაქტს ჯეროვნად არ იყენებს.*

ზაზა ფაჩუაშვილი

**- ბატონო დიმიტრი, როგორ დაიბადა ეს სპექტაკლი?**

- 10 წლის წინათ ვესაუბრე ბატონ თემურ ჩხეიძეს. მოგეხსენებათ, იგი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო თეატრის მთავარი რეჟისორი გახლავთ, მაგრამ სპექტაკლებს სხვა ქვეყნის თეატრებშიც დგამს. ამიტომ გადატვირთული განრიგი აქვს, მის წიგნაკში 5-10 წლის გეგმაა ჩამოწერილი. ეს წიგნაკი გადავშალე და ვნახე, ისეთი შუალედი არსად იყო, რომ ჩვენს თეატრშიც რამე დაედგა, მაგრამ მე მაინც დაჟინებით ვთხოვდი ამას.

6 წლის წინათ ისევ შევხვდი ბატონ თემურს, გავუმეორე ჩემი თხოვნა. მან ამოიღო წიგნაკი და მითხრა, 2005 წლის ზაფხულში მაქვს თავისუფალი ორი თვეო, და შემპირდა, რომ კლასიკას დადგამდა. გავიდა დრო და ერთ მშვენიერ დღეს მირეკავს: კი, ბატონო, გავაკეთოთ სპექტაკლი, ოღონდ აფხაზეთზეო. და ხომ არავინ გეგულება ისეთი მწერალი, რომელიც აფხაზეთზე წერს და, თუ აფხაზეთიდანაც იქნება, მთლად უკეთესიო. კი-მეთქი, არის ასეთი კაცი, გურამ ოდიშარია. და მივუტანე ყველაფერი, რაც გურამს დაუწერია. ერთი კვირის შემდეგ დამირეკა, შესანიშნავი მწერალი ყოფილა და სასწრაფოდ შემახვედრეო.

პიესა იწერებოდა წელიწადი და ორი თვის განმავლობაში. 80-ჯერ დაწერა გურამ ოდიშარიამ პიესა და ოთხმოცივეჯერ გადააკეთებინა ბატონმა თემურმა. საოცარი ნებისყოფა აღმოაჩნდა გურამ ოდიშარიას, ოთხმოცდამეერთემ გაამართლა. დავიწყეთ მუშაობა სპექტაკლზე. გენიალურ რეჟისორთან მუშაობა თითოეული ჩვენგანისათვის ბედნიერება იყო. სცენა ვთხოვეთ სამეფო უბნის თეატრს, მამა-შვილ თავაძეებს,



დიმიტრი ჯაიანი. კადრი სპექტაკლიდან.

რომლებიც მაშინვე გვერდში დაგვიდგნენ. ბატონ თემურს უნდოდა, რომ სპექტაკლი სწორედ იქ დაედგა. დარბაზი იმდენად ტოვებს სოხუმის შთაბეჭდილებას, რომ მაყურებელი სცენაზე დავსვით, ჩვენ დარბაზში ვითამაშეთ.

სათაური ბატონ თემურის მეუღლემ, ქალბატონმა ნანი ჩიქვინიძემ მოიფიქრა – "ზღვა, რომელიც შორია...", რომელიც ძალიან მოუხდა პიესას.

**- თქვენი იმედები თუ გამართლდა?**

- დიახ, ძალიან შედეგიანი სპექტაკლი გამოდგა. ჩვენ ყველანი კმაყოფილები დავრჩით, იმედია, მაყურებელიც. აფხაზი ასტამურის როლის შემსრულებელს მერაბ ბრეკაშვილს და მე, ქართველი ზურაბის როლის შემსრულებელს მოგვანიჭეს მარჯანიშვილის პრემია, ხოლო საიდას როლის შემსრულებელს ლილი ხურითს – ვერიკო ანჯაფარიძის პრემია. ახლა ვფიქრობთ, რომ სპექტაკლი რუსთაველის პრემიაზეც წარვადგინოთ, ვნახოთ.

**- სპექტაკლს საზღვარგარეთ არ გაიტანთ?**

- გვინდა გავიტანოთ საზღვარგარეთ. ათი დღის წინ სპექტაკლი გაეროს წარმომადგენლებმა ნახეს, ძალიან მოეწონათ და თქვეს, რომ ეს მსოფლიომ უნდა ნახოსო. ჯერჯერობით საუბარია საფრანგეთზე, ინგლისზე, რუსეთზე... ვნახოთ.

**- სოხუმზე?**

- სოხუმზე ჯერჯერობით საუბარი არ არის, მაგრამ გამოხმაურება იქაც იყო.

აფხაზეთიდანაც ჩამოვიდნენ ინკოგნიტოდ და ნახეს სპექტაკლი. მე, უბრალოდ, მათ ვინაობას ვერ გავამხელ. მალე თბილისში ჩატარდება კავკასიის ჟურნალისტთა ფორუმი, რომელსაც სამი აფხაზი ჟურნალისტიც დაესწრება. აი, ამ ფორუმის მონაწილეებმა გვთხოვეს სპექტაკლზე დასწრება და ჩვენ 21 თებერვალს კიდევ ერთხელ ვითამაშებთ ამ სპექტაკლს. ცხადია, ეს ჟურნალისტებიც ჩაიტანენ სოხუმში ამბავს.

**- თქვენ თუ გაქვთ სოხუმთან სატელეფონო კავშირი?**

- სამწუხაროდ, არა. იქ ბევრი მეგობარი დამრჩა, მაგრამ ტელეფონები ისმინება და ისინი ჩემთან კონტაქტს ერიდებიან. ჩემს საკუთარ ბინაში დავრეკე. მინდოდა, იმ კაცისთვის, ვინც იქ ცხოვრობს, ფოტოების გამოგზავნა მეთხოვა, მაგრამ მითხრა, მეორედ აღარ დარეკოო.

**- მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შესახებაც გკითხოთ. თქვენ მოღვაწეობდით საქართველოს პარლამენტში, წარმოადგენდით აფხაზეთის დეპუტაციას. გაკეთდა თუ არა ქართული მხრიდან ყველაფერი იმისთვის, რომ ეს კონფლიქტი მოგვარებულიყო?**

- არ გაკეთებულა, მაგრამ მცდელობა მაინც იყო. დღე არ გავიდოდა, რომ აფხაზეთის დეპუტაციას აფხაზეთთან დაკავშირებული რამე საკითხი არ წამოეჭრა. ახლა აფხაზეთის დეპუტაცია გაუქმებულია და პარლამენტიდან აფხაზეთზე ხმა საერთოდ აღარ ისმის. ეს ძალიან საწყენია.

ისიც ძალიან სამწუხაროა, რომ ჩვენი ხელისუფლება ამ სპექტაკლს ჯეროვნად ვერ იყენებს. ეს არის შერიგების ჩვენეული ხედვა და იმსჯელონ მაინც ამ გზის ავ-კარგიანობაზე. ბატონი გოგა ხაინდრავა აღფრთოვანებული დარჩა, ჩემს საქმიანობაში ძალიან დამეხმარებაო. ბატონმა ირაკლი ალასანიამ შესანიშნავი სიტყვა თქვა, 10 წლის განმავლობაში რის თქმასაც ვცდილობდით, ეს სპექტაკლი საათში და ოც წუთში ამბობსო. ეს არის და ეს. მე კი მგონია, რომ ამ სპექტაკლის გამოყენებით შერიგებისაკენ რაღაც პატარა ბილიკი მაინც გაიჭრებოდა. ხომ შეიძლება, სახელმწიფომ იზრუნოს იმაზე, რომ სადმე, ნეიტრალურ ადგილას ეს სპექტაკლი აფხაზურ საზოგადოებას ანახოს.

**- პრეზიდენტმა თუ ნახა სპექტაკლი?**

- ქალბატონმა სანდრამ ნახა, მაგრამ პრეზიდენტს, სამწუხაროდ, არ უნახავს. დარწმუნებული ვარ, რომ ნახოს, აუცილებლად მწვანე შუქს აუნთებს.

# იყო ძალიან ლამაზი, ქართულ-აფხაზური ქორწილი

*პარიზთან ახლოს, ლევილის ქართულ სასაფლაოზე, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ნოე ჟორდანიას გვერდით განისვენებს აფხაზეთის ავტონომიური ეროვნული მთავრობის პირველი თავმჯდომარე, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი არზაყან ემხვარი. მის საფლავს ქართული წარწერა ამშვენებს - "გავერთიანდეთ არა ჩრდილოეთ კავკასიასთან, არამედ საქართველოსთან!" ღირსეული წინაპრის ამ სიტყვების ცხოვრებაში განხორციელების იდეით ცხოვრობს თბილისში ქალბატონი ნატო მარშანია, რომელმაც ქართული ოჯახი შექმნა და ცნობილი მოვლენების შემდეგ მშობლიური აფხაზეთის დატოვება მოუხდა.*

ლელა მარგიანი

ნატო მარშანია: "ტრადიციულ აფხაზურ ოჯახში გავიზარდე. მამა – შოთა მარშანია-ემხვარი, აფხაზეთისა და საქართველოს დამსახურებული ექიმი-სტომატოლოგი იყო. მამის დედა – ანა ემხვარი, რომელიც თავად მარშანიაზე იყო გათხოვილი, მშობიარობას გადაჰყვა და მამაჩემი მისმა უშვილო ბიძამ – ივამ გაზარდა. ბებია ანას მეორე ძმა კი არზაყან ემხვარი გახლდათ, აფხაზეთის ავტონომიური ეროვნული მთავრობის პირველი თავმჯდომარე. პიროვნება, ვისაც კარგად ჰქონდა გათვითცნობიერებული, რომ აფხაზეთი მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს შემადგენლობაში უნდა ყოფილიყო.

"ჯერ კიდევ ქუთაისის სასულიერო სემინარიაში სწავლის დროს იგი დაუახლოვდა არა მხოლოდ ქართულ საზოგადოებას, არამედ ქართულ კულტურას და სულიერად შეეზარდა მას. მასში ერთიმეორესთან შედუღდა აფხაზი და ქართველი – აფხაზეთის ღირსეული მამულიშვილობა და საქართველოს უანგარო პატრიოტობა," – ასეთი სიტყვებით ახასიათებდნენ მის ღვაწლს მაშინდელ ქართულ პრესაში.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ იგი, დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის სხვა წევრებთან ერთად, უცხოეთში გადაიხვეწა. საქართველოში მას მეუღლე – თბილისელი მარო ჩიკვაიძე და ორი ვაჟი დარჩა. ემიგრირებული არზაყან ემხვარი ერთხანს სტამბოლში ცხოვრობდა, მოგვიანებით პრაღაში ჩავიდა, მაგრამ ქვეყანაში ღირსეულად დაბრუნების იმედს არ კარგავდა. მაგრამ მის ნატვრას, საქართველოში დაბრუნებულიყო, ასრულება არ ეწერა – 1939 წლის 24 მარტს იგი პარიზის ახლოს, კლოდ ბერნარის საავადმყოფოში სისხლის მოწამვლით გარდაიცვალა.

დედაჩემი ფენია ხაშბა წარმოშობით სოფელ ფოქვეშიდან იყო. დედა წლების მანძილზე მუშაობდა ოჩამჩირის რაიკომის მეორე მდივნად. იგი საოცარი ქალი იყო – ერთი შეხედვით, მკაცრი ჩანდა (მე მისგან მოფერებით არ ვიყავი განებივრებული), მაგრამ ამავე დროს იყო შინაგანად ძალიან თბილი და მოსიყვარულე, სულს და გულს მისცემდა ადამიანს. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ დედაჩემმა ჩემი ორი ნახევარძმა გაზარდა. მამას პირველი ცოლი ქართველი ჰყავდა, რომელიც ძალიან ახალგაზრდა, 30 წლისა გარდაცვლილა. დარჩა ორი და სამი წლის ვაჟები. დედამ ისინი შვილებივით გაზარდა. ახლა ჩემი ძმებიც თბილისში ცხოვრობენ. მე მათ გარდა, ფაქტობრივად, სხვა ნათესავი აქეთ არავინ მყავს.

აფხაზეთში დედის მხრიდან დამრჩნენ ნათესავები, ურთიერთობის აღდგენა მინდოდა, ფოქვეშში წერილიც კი გავგზავნე, მაგრამ იქიდან პასუხი არ მიმიღია. არ ვიცი, შეიძლება წერილმა მათთან ვერც კი ჩააღწია.

**- მართალია, ისეთ ოჯახში გაიზარდეთ, რომ ქართული სამყარო თქვენთვის უცხო არასდროს ყოფილა, მაგრამ მაინც, ქართველზე რომ გათხოვდით, ამას როგორ შეხვდნენ თქვენს ოჯახში?**

- იცით, ამ საკითხზე სხვანაირად არასოდეს მიფიქრია. საერთოდ, ისეთ ოჯახში გავიზარდე, რომ ჩვენთან ეს პრობლემა არასდროს არ ყოფილა. ჩემი ქმარი წვეულებაზე გავიცანი. სოხუმში ახლობლის დაბადების დღეზე ვიყავი სტუმრად ჩასული და იქ ვნახე პირველად. წვეულების შემდეგ მან და მისმა მეგობრებმა შემომთავაზეს, ოჩამჩირეში, სახლში ჩვენ წაგიყვანთო. მეც ვენდე, ჩავჯექი მანქანაში და თავი ახალ ათონში ამოვყავი. როდესაც მივხვდი, რაშიც იყო საქმე, მითხრეს, ოჩამჩირეში დავრეკეთ და ვუთხარით, რომ გათხოვდიო. როდესაც წარმოვიდგინე, რომ პატარა ოჩამჩირეში უკვე ყველამ იცის ჩემი გათხოვების ამბავი, მივხვდი, რომ წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ ჰქონდა. ასე გავთხოვდი. როდესაც ფოქვეშიდან დედაჩემის ნათესავები ჩამოვიდნენ, ერთადერთმა, დედაჩემის ბიძაშვილმა მკითხა: "Он кто, Абхаз или Грузин?" როდესაც ვუთხარი, რომ ჩემი მეუღლე ქართველია, ძალიან ეწყინა, რატომ გაყევი ქართველს, ჩვენ გვინდოდა, რომ აფხაზს გაყოლოდიო. მე ვუპასუხე, როგორც ღმერთს უნდოდა, ყველაფერი ისე მოხდა-მეთქი. ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, როდესაც ჩემი ქმრის ქართველობა ჩემიანს არ მოეწონა. შემდგომ, თანაცხოვრების პერიოდში ეს არ ჩანდა, იმდენად ერთად ვართ გაზრდილები, იმდენი საერთო ადათ-წესი და ტრადიცია გვაქვს აფხაზებსა და ქართველებს.

სოხუმში, რესტორან "თბილისში" ჩემი მეუღლის მშობლებმა 450-კაციანი ქორწილი გადაგვიხადეს, მერე მამაჩემმა მე და ჩემს ძმას, რომელმაც ქართველი ცოლი მოიყვანა, გვარად დავითაია, ერთად გადაგვიხადა 700-კაციანი ქორწილი. იყო ძალიან ლამაზი ქართულ-აფხაზური ქორწილი – ჩონგურით, ქართულ-აფხაზური სიმღერებით, სიყვარულითა და მხიარულებით.

**- ნუთუ ვერაფერ ცუდს ვერ გრძნობდით?**

- არასოდეს მეგონა, თუ ჩვენს შორის ასეთი რამ მოხდებოდა, იმდენად ახლობელი იყო ჩემთვის ყველაფერი აფხაზურიც და ქართულიც. ბოლოს და ბოლოს, მე ხომ ქართველი შვილი მყავს და ორივე ხალხის სატკივარი ერთნაირად მტკივა.

სამწუხაროდ, მოსახდენი მაინც მოხდა. ძალიან მწარედ მახსოვს სოხუმში "მხედრიონის" შემოსვლის დღე. მაშინ გიორგი ორი წლის მყავდა. მასთან ერთად ქუჩაში მივდიოდი, როდესაც "მხედრიონელების" მანქანა დამეწია. მეკითხებიან, აბა, გვაჩვენე ამ ქუჩაზე აფხაზების სახლებიო. ვუპასუხე, რომ ახლო-მახლო აფხაზები არ ცხოვრობდნენ, თუმცა, რა თქმა უნდა, ჩემს მეზობლად ცხოვრობდნენ აფხაზები – ბორია ადლეიბა და სხვები. მათ დამიჯერეს და მანქანა მოაბრუნეს. კიდევ კარგი, ქართული ვიცოდი. ამან გადაგვარჩინა მეც, ჩემი შვილიც და მეზობლებიც. როგორ გავათენეთ ის ღამე, არ ვიცი. სოხუმში ცხოვრება ძალიან გაჭირდა. ბაზარში არაფერი აღარ იყიდებოდა, აღარ იყო არანაირი პროდუქტი. რა უნდა მეჭმია ბავშვისთვის? ჩემი ქართველი მეზობლები დამეხმარნენ, გამამხნევეს – ნატო, ნუ ნერვიულობ, ჩვენ, რა, გიორგის შიმშილით ხომ არ მოვკლავთო?! მართლაც, დაკლეს ქათმები და გიორგის საჭმელი არ მოჰკლებია. მერე თანდათან სიტუაცია უფრო დაიძაბა და იძულებული გავხდი, დედასთან ერთად ზუგდიდში, მეუღლის ნათესავებთან გადავსულიყავით. ის დღეც საშინლად მაგონდება – სანამ ჩემი სახლი ჩანდა, სულ უკან ვიყურებოდი და ღვარად ჩამომდიოდა ცრემლები. სამი-ოთხი თვე ვიცხოვრეთ ზუგდიდში. ძალიან გამიჭირდა სხვის სახლში ცხოვრება. მერე თითქოს "შერიგება" დაიწყო. ჩვენც დავბრუნდით სოხუმში იმ იმედით, რომ არაფერი ცუდი აღარ მოხდებოდა. ჩემს ქმარს სახლში რემონტიც კი გავაკეთებინე.

სოხუმის დაცემის წინა დღეს სიზმარი ვნახე, თითქოს უზარმაზარი გემი დგას პორტში. ზღვა არის ჭუჭყიანი და ძალიან ღელავს. მე და გენა გავრბივართ და გიორგი მიგვყავს. სახლიდან რომ გამოვედით, იქ ვიღაცა შევიდა და ჩემს ნივთებში იქექება. ასე გამომეღვიძა. ორ დღეში სოხუმი დაეცა. ჩვენ ძლივს ჩავედით სამხედრო გემით ფოთში, მერე – თბილისში. როგორც მერე გავიგე, ჩვენი სახლი ჯერ გაძარცვეს, მერე – დაწვეს. ჩემს სახლს ოჩამჩირეში "Белый Дом"-ს ეძახდნენ. ახლა ის სრულიად გაპარტახებულია, არაფერი აქვს შერჩენილი.

**- თქვენი სახლი მაინც რატომ დაწვეს?**

- იქ აღარავინ იყო დარჩენილი. მამა ომამდე გარდაიცვალა, ჩვენ აქეთ წამოვედით. მამიდაჩემი მიდიოდა ხოლმე და უვლიდა, მაგრამ როდესაც კაცს შესცივდება და მოშივდება, მან აღარც აფხაზი იცის და აღარც – ქართველი. შევიდნენ მიტოვებულ სახლში და შეშად გაზიდეს ავეჯი. ამიტომ აღარ მინდა ჩემი გაპარტახებული სახლის ნახვა, ნამდვილად მოვკვდები. ფსიქოლოგიურად არ შემიძლია ოჩამჩირეში ჩასვლა.

**- აფხაზეთში მას მერე აღარ ყოფილხართ?**

- არა, ვერ ჩავდივარ. მართალია, ჩემს მეუღლეს იარაღი არ აუღია ხელში, მაგრამ შტაბში მუშაობდა და იმათ ხომ ყველაფერი იციან. ამავე დროს, თან მინდა აფხაზეთში ჩასვლა და თან – არა. უკვე თოთხმეტი წელი გავიდა. ახლა იქ ხომ ისეთი აფხაზეთი აღარაა, რაც მე იქ დავტოვე. როდესაც ახლობლები მეუბნებიან: ნატო, ჩამოდი ოჩამჩირეში, მამაშენის საფლავი მოინახულეო, მინდა ჩასვლა, მაგრამ ძალიან მეშინია.

ამავე დროს, მეორე ფაქტორიც მაწუხებს. ჩემი ახლობლები, რომლებიც აფხაზეთში ხშირად ჩადიან, მეუბნებიან, რომ ერთ ნაცნობ სახეს ველარ ნახავ ქუჩაში, იქ სხვა საზოგადოება ცხოვრობსო. ამიტომ ხანდახან ვფიქრობ: მზად ვართ კი თავად ჩვენ - აფხაზეთიდან დევნილები აფხაზეთში დასაბრუნებლად?

იმასაც მეუბნებიან ხოლმე, შენ – აფხაზი რატომ წამოხვედი იქიდან, სახლს ხომ მაინც შეინარჩუნებდიო. მაგრამ ბინა ხომ არაა მთავარი. მე რომ კარს გავაღებ და იქ ჩემი მეზობელი, ჩემი ნათესავი არ დამხვდება, ყველა წამოსულია ან აქეთ, ან რუსეთში, რად მინდა მარტო ბინა?

**- როგორ დაიწყეთ თბილისში ცხოვრება?**

- ძალიან რთული გზა გავიარეთ. მაშინ, დევნილობის პირველ წლებში ძალიან რთული იყო ყველაფრის გადატანა, ყველაფრის თავიდან დაწყება. თბილისში მოსწავლეების რუსულში მომზადება დავიწყე, თან, იურიდიულზე ჩავაბარე და იმ თანხით სწავლის საფასურს ვიხდიდი. მერე დედაჩემი ძალიან ავად გახდა, ლოგინად ჩავარდა. დიდხანს მას ვუვლიდი. ფიზიკურად ძალიან მიჭირდა, მაგრამ კიდევ უფრო მეტად მიჭირდა სულიერად.

ამიტომ მე და ჩემმა მეგობრებმა, ასევე ქართველების რძალმა აფხაზმა ქალბატონებმა არასამთავრობო ორგანიზაცია "ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახები" დავაფუძნეთ. ასე, ჩემდაუნებურად მოვედი, არასამთავრობო სექტორში. ცოტა ხანია, რაც დამოუკიდებელი არასამთავრობო ორგანიზაცია – "პირისპირ" ჩამოვაყალიბეთ. ჩვენ არა ვართ პოლიტიკოსები, უბრალოდ, ვართ პიროვნებები, ვინც ჩვენს ქართველ მეუღლეებსა და შვილებს გამოვყევით. გვინდა, კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების საქმეში ჩვენი მცირე წვლილი შევიტანოთ. რა თქმა უნდა, არასამთავრობოები პრობლემას ვერ გადაწყვეტენ, მაგრამ სახალხო დიპლომატიას რომ ურთიერთობების აღდგენა შეუძლია, ფაქტია.

**- რითი უნდა დავიწყოთ?**

- პირველ რიგში, გაუცხოების ფაქტორი უნდა დავძლიოთ. გული მიკვდება, როდესაც ისეთ ინფორმაციებს ვისმენ, რომ თურმე სოხუმში 17-18 წლის ახალგაზრდები კითხულობენ: "Что, здесь грузины жили? Они тоже ели лобио, мамалыгу, хачапури?" ომის შემდეგ წამოზრდილმა ახალგაზრდობამ არ იცის, რომ ჩვენ იქ ვცხოვრობდით, რომ ჩვენ ბევრი, ძალიან ბევრი რამ გვაქვს საერთო. ამიტომ არ უნდა დავიკრიფოთ გულ-ხელი, საჭიროა ხშირი კონტაქტები, შეხვედრები. რაც შეგვიძლია, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ. მახსოვს, ერთ-ერთ შეხვედრაზე, რომელზეც კონფლიქტის შემდეგ გათიშული შერეული ოჯახების წევრები შევახვედრეთ ერთმანეთს, ძმამ, რომელიც სოხუმში ცხოვრობს, თავის დას, რომელიც ქართველის ცოლია და თბილისში ცხოვრობს, გაკვირვებულმა ჰკითხა: "როგორ, შენ თავისუფლად დადიხარ თბილისში და არავინ არაფერს გეუბნებაო? დამ უპასუხა: "რას ლაპარაკობ, ჩემი აფხაზობისთვის აქ არავინ არაფერს არ მერჩისო".

ძალიან გვინდა, სოხუმელი და აქაური დევნილი ახალგაზრდები შევახვედროთ ერთმანეთს, რომ გაიცნონ ერთმანეთი, ურთიერთობა დაამყარონ. ჩემი შვილი გიორგი მაშინ მხოლოდ ორი წლისა იყო. იგი, ფაქტობრივად, აქ, თბილისში გაიზარდა. აფხაზეთი რა არის, არ იცის. თუ იქ არ გიცხოვრია, რა თქმა უნდა, ვერ გაიგებ იმ ტკივილს, რაც ჩვენ – უფროს თაობას გვაქვს. ადამიანი ვერ შეიყვარებს იმას, რაც არ უნახავს და არ განუცდია. ამიტომ გვინდა, ახალგაზრდები ერთმანეთს შევახვედროთ. ჩვენ გვყავს პარტნიორი ორგანიზაცია გალის რაიონში. გვინდოდა ოჩამჩირეშიც გვყოლოდა პარტნიორები, მაგრამ, სამწუხაროდ, კონტაქტზე ჯერჯერობით არ მოდიან. ამბობენ, დრო მკურნალიაო, მაგრამ ამ შემთხვევაში დრო ჩვენს საწინააღმდეგოდ მუშაობს.

**- თქვენი აზრით, როგორ უნდა მოგვარდეს კონფლიქტი?**

- რა თქმა უნდა, მხოლოდ მშვიდობიანი გზით. ომი არავის უნდა. რა გადაწყდება ომით?! ადამიანებმა ხომ ერთად უნდა იცხოვრონ?! თუ ომით იქნება დაბრუნება, მაშინ როგორ იცხოვრებენ ერთად?! ეს გამორიცხულია. ისევ ის გზა უნდა გამოვიაროთ, რაც უკვე მაშინ გამოვიარეთ. 14 წლის წინათ მე არ ვიცოდი და არც ახლა ვიცი, თუ რა დავაშავე აფხაზმა ქალმა, რომელსაც ქართველი მეუღლე და შვილი მყავს?!

აფხაზებსა და ქართველებს შორის ჩატეხილი ხიდი ჩვენ ყოველდღიური ქმედებით უნდა აღვადგინოთ. ხშირი კონტაქტი და ურთიერთობა რომ აუცილებელია, ერთმა შემთხვევამაც დამარწმუნა. ჩვენი ორგანიზაციის პროექტით, დევნილებში შერეული ოჯახების წევრებს ვეძებდით და კომპაქტური ჩასახლების ადგილებში დავდიოდით. მახსოვს, სასტუმრო "ამირანში" მივედით ახალგაზრდებთან შეხვედრაზე. კითხვარში ერთი ასეთი კითხვაც გვქონდა შეტანილი: თქვენი აზრით, როგორ უნდა მოგვარდეს ქართულ-აფხაზური კონფლიქტი? შეხვედრის მონაწილე ახალგაზრდების ნაწილმა, რომელთაც აფხაზეთში ჰყავთ ნათესავები, მაგრამ მათთან კონტაქტები დაკარგული აქვთ, გვითხრეს, რომ "ომით დაკარგული ისევ ომით უნდა დავიბრუნოთო". მშვიდობიანი დაბრუნების მომხრეებიც იყვნენ. ერთ-ერთმა, 19-20 წლის ბიჭმა კი გულახდილად გვიპასუხა, რომ იგი ყველა აფხაზს დახოცავდა. ჩვენ მერე სხვა საკითხებზეც ვისაუბრეთ და შეხვედრის ბოლოს იმ ახალგაზრდას ვკითხე: თქვენ მეც მომკლავდით-მეთქი? თქვენ რატომო, გაუკვირდა. აფხაზი ვარ-მეთქი, ვუპასუხე, და უცებ რაღაც უხერხულად იგრძნო თავი. მერე მკითხა, თქვენ აქ რატომ ხართო, და როდესაც ვუპასუხე, რომ ქართველი კაცის მეუღლე ვარ, ქართველი შვილი მყავს და ჩემს ოჯახს გამოვყევი თბილისში, პოზიცია უცებ შეიცვალა. მერე კიდევ დიდხანს ვისაუბრეთ. ამ ერთი შემთხვევითაც კი ნათელია, რომ ადამიანებს ურთიერთობა, სიახლოვე აკლიათ. აქაურ ახალგაზრდებს აფხაზები ჰგონიათ კაციჭამიები, იქაურებს – ქართველები. ამიტომ აუცილებელია შეხვედრები ყველა დონეზე.

მახსენდება კიდევ ერთი შეხვედრა აფხაზეთიდან ჩამოსულებთან. შეხვედრის ოფიციალურმა ნაწილმა ჩვეულებრივად ჩაიარა, მაგრამ შემდეგ სუფრასთან ჩემს გვერდით მოხვდა სოხუმელი ქალი და, იცით, რა მითხრა? - "Знаете что, приезжаете, мы без вас очень скучаем! არასდროს დამავიწყდება მისი ჩუმად ნათქვამი ეს სიტყვები. სოხუმში მცხოვრები აფხაზი კაცის რუსი ცოლის მიერ ნათქვამი მხოლოდ ეს სიტყვები ღირდა მთელ შეხვედრად.

მჯერა, რომ შეხვედრები ნდობის აღდგენას აუცილებლად შეუწყობს ხელს. ეს არის ახლა ჩემი ცხოვრების მიზანი და ნატვრა. კიდევ ერთ რამეს ვნატრობ ყველაზე მეტად - დაბრუნდებოდეს ის დრო, როდესაც მე ჩვენი დიდი სახლის ჭიშკარში შევდიოდი, დედა და მამა კარებში მეგებებოდნენ და გახარებულები მეუბნებოდნენ: ნატო, შვილო, შენ დაბრუნდი?!

**პროექტი "თქვენი აფხაზეთი"**
ჩვენი პოვნა შეგიძლიათ: გაზეთი **"24 საათი"**, ყოველ ოთხშაბათს
და საიტზე - www.yourabkhazia.ge;
forum.yourabkhazia.ge

პროექტის მხარდამჭერი conciliation resources

# საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის განცხადება სამი ტენდერის ჩატარების შესახებ

**საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სემეკ) აცხადებს:**

1. ტენდერს საავტომობილო საწვავის შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს. ტენდერის შედეგად გამოვლენილი იქნება ერთი ან რამოდენიმე გამარჯვებული. შესყიდვა განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის ბოლომდე.

სემეკის მოთხოვნილება საწვავზე შეადგენს: "რეგულარის" მარკის - 50000 ლიტრი; "სუპერის" მარკის - 15000 ლიტრი.

დაინტერესებულმა პირებმა განაცხადი ტენდერში მონაწილეობის სურვილის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (დალუქულ კონვერტში) ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 21 თებერვლიდან 22 თებერვლის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი, 45;

2. ტენდერს სემეკის ბალანსზე რიცხულ ავტოტრანსპორტის ტექნიკური მომსახურების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს. ტენდერის შედეგად გამოვლენილი იქნება ერთი ან რამოდენიმე გამარჯვებული. შესყიდვა განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის ბოლომდე.

სემეკის ავტოპარკი შეადგენს 10 მსუბუქ ავტომობილს (8 ერთეული რუსეთის, 2 ერთეული უცხოური წარმოების).

დაინტერესებულმა პირებმა განაცხადი ტენდერში მონაწილეობის სურვილის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (დალუქულ კონვერტში) ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 22თებერვლიდან 23 თებერვლის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი, 45;

3. ტენდერს კომპიუტერული ტექნიკის და მისი ინსტალაციის შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს. თენდერის შედეგად გამოვლენილი იქნება ერთი ან რამოდენიმე გამარჯვებული. შესყიდვა განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის ბოლომდე.

სემეკის მოთხოვნილება შეადგენს: Notebook - 2 ერთეული, საოფისე კომპიუტერი - 14 ერთეული, სერვერი - 1 ერთეული, უწყვეტი კვების ბლოკი - 15 ერთეული, საოფისე ლაზერული პრინტერი - 5 ერთეული, საოფისე ქსელური ლაზერული პრინტერი - 1 ერთეული, კომუტატორი (Switch) - 2 ერთეული, კონცენტრატორი (HUB) - 4 ერთეული, მაღალი სიმძლავრის ქსეროქსი - 1 ერთეული, ფაქსის აპარატი - 2 ერთეული.

დაინტერესებულმა პირებმა განაცხადი ტენდერში მონაწილეობის სურვილის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (დალუქულ კონვერტში) ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 23 თებერვლიდან 24 თებერვლის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი, 45.

პრენდენტების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

*იურიდიული პირისათვის:*

1. იურიდიული მისამართი, ტელეფონის ნომერი, საბანკო რეკვიზიტები;
2. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;
3. ცნობებს სასამართლოდან და/ან საგადასახადო ინსპექციიდან ადგილმდებარეობის მიხედვით, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმე;
4. ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;
5. ინფორმაცია უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ.

*ფიზიკური პირისათვის:*

1. ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;
2. ინფორმაცია უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ.

თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო შემოსავლებისათვის ა/ა 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი 220101107, სახაზინო კოდი 302003000, დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი), სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 20 თებერვლამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი, 45.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: თემურ ყიფიანი, საკონტაქტო ტელეფონი - 399 176 და თეიმურაზ ცაბაძე, საკონტაქტო ტელეფონი - 923 360; მისამართზე: ქ. თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი, 45.

# საქართველოს პარლამენტის აპარატის სატენდერო კომისიის განცხადება

- საქართველოს პარლამენტის აპარატის სატენდერო კომისია, საქართველოს პარლამენტის 2006წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების შესაბამისად, საავტომობილო საწვავის, დიზელის საწვავის და საავიაციო ნავთის შესყიდვაზე აცხადებს ტენდერს და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**შესყიდვა განხორციელდება 5 ლოტის მიხედვით:**

1. 255100 ლიტრი აი-95 მარკის საავტომობილო საწვავი მიმწოდებლის ავტოგასამართი სადგურიდან მიწოდებით (ტალონური ან საბარათო სისტემით),
2. 30000 ლიტრი აი-95 მარკის საავტომობილო საწვავი შემსყიდველის ავტობაზამდე მიწოდებით,
3. 12000 ლიტრი საატომობილო დიზელის საწვავი მიმწოდებლის ავტოგასამართი სადგურიდან მიწოდებით (ტალონური ან საბარათო სისტემით),
4. 10000 ლიტრი ლ-62 მარკის დიზელის საწვავი შემსყიდველის მისამართზე მიწოდებით,
5. 2500 ლიტრი საავიაციო ნავთი ბორტზე მიწოდებით.

- დაინტერესებულმა პირებმა ტენდერში გამარჯვების შემთხვევაში საწვავის მოწოდება უნდა განახორციელონ ეტაპობრივად (ყოველთვიურად) გრაფიკის მიხედვით ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 31 დეკემბრამდე.
- პრეტენდენტებმა დალუქული კონვერტით საკვალიფიკაციო მონაცემები და ერთი სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ **2006 წლის 1 მარტის 1200 სთ-მდე** საქართველოს პარლამენტის აპარატის სატენდერო კომისიის აპარატში სათანადო რეგისტრაციის გავლით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, რუსთაველის 8, დალუქული კონვერტები კომისიის სხდომაზე დასწრების მსურველი პრეტენდენტების თანდასწრებით გაიხსნება **1 მარტის 1200 სთ-ზე** ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.
- პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინონ ორიგინალების ან ნოტარიალურად დამოწმებული ასლების სახით.
- საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებს და ინფორმაციებს:

**- იურიდიული პირისთვის:**

ა) მისი ქონება არ არის დაყადაღებული (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

ბ) მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან და/ან სასამართლოდან);

გ) მისი ხელმძღვანელ(ებ)ი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყო (იყვნენ) მსჯავრდებულ(ნ)ი ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის (მათ) მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის (მათ) სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან);

დ) ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან);

ე) ცნობას მონაწილის იურიდიული სტატუსის შესახებ (რეგისტრაციის მოწმობის ასლი);

ვ) ინფორმაცია განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ.

**- ფიზიკური პირისთვის:**

ა) ცნობა, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან);

ბ) მისი ქონება არ არის დაყადაღებული (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

გ) უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან);

დ) მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ან სასამართლოდან);

ე) ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან);

ვ) ცნობას მონაწილის იურიდიული სტატუსის შესახებ (რეგისტრაციის მოწმობის ასლი);

ზ) ინფორმაცია განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ.

- პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებისთვის (შერჩევის პროცედურა), თუ იგი **1 მარტის 1200სთ-მდე** არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ ზემოთ ჩამოთვლილ ყველა ცნობას და ინფორმაციას და/ან სატენდერო წინადადებას ან წარმოდგენილი ცნობებიდან და ინფორმაციიდან რომელიმე ყალბი აღმოჩნდება ან იქნება შეუსაბამობა წინამდებარე განცხადების მოთხოვნებთან და/ან სატენდერო წინადადება არ იქნება შესაბამისობაში სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებთან ან არ იქნება შესაბამისობაში "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონთან და "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულებასთან.
- ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირი იხდის სატენდერო მოსაკრებელს 200 ლარის ოდენობით, სახელმწიფო ხაზინა: მიმღების ანგარიში N200122900, საქართველოს ეროვნულ ბანკი, კოდი 220101107, სახაზინო კოდი 302003000, საქ. პარლამენტის აპარატის მიერ ჩასატარებელი ტენდერის მოსაკრებელი.
- ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა (**არაუგვიანეს 1 მარტის 1200სთ-მდე)** სატენდერო მოსაკრებლის გადახდის ქვითრისა და სატენდერო დოკუმენტაციის მიღების მინდობილობის წარმოდგენისთანავე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის 8, სატენდერო კომისიის აპარატი.
- ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა წინადადება შეიძლება წარმოადგინონ როგორც მთლიანად, ისე ცალკეული ლოტების მიხედვით, შესაბამისად ტენდერის ჩატარებისას შესაძლებელია რამოდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.
- დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს: **932509 ზაურ ჯიოშვილი**.

**სატენდერო კომისიის თავმჯდომარე**

# საქართველოს პარლამენტის აპარატის სატენდერო კომისიის განცხადება

- საქართველოს პარლამენტის აპარატის სატენდერო კომისია, საქართველოს პარლამენტის 2006წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების შესაბამისად, საკანცელარიო საქონლის, ქაღალდის, კარტრიჯების, ასლგადამღები მანქანების მარაგნაწილების და სახარჯი მასალების შესყიდვაზე აცხადებს ტენდერს და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**შესყიდვა განხორციელდება 6 ლოტის მიხედვით:**

პირველი ლოტი: საკანცელარიო საქონელი

| | | |
|---|---|---|
| 1. ფაქსის ქაღალდი 30მ. | ცალი | 400 |
| 2. საქაღალდე ბაინდერი | ცალი | 500 |
| 3. საქაღალდე სწრაფჩამკერი | ცალი | 5000 |
| 4. ფაილი | ცალი | 30000 |
| 5. კალმისტარი (ბურთულიანი) | ცალი | 10000 |
| 6. ფანქარი (საშლელით) | ცალი | 3000 |
| 7. ქაღალდის სამაგრი (სკრეპი) | კოლოფი | 300 |
| 8. წებო (მშრალი) 8გრ-იანი | ცალი | 600 |
| 9. მარკერი (ბრტყელი პირით) | ცალი | 1200 |
| 10. კორექტორი (ფლუიდი) | ცალი | 300 |
| 11. საკანცელარიო წიგნი 50 ფურცლიანი | ცალი | 600 |
| 12. საკანცელარიო ნაკრები (ორგანაიზერი) | ცალი | 50 |
| 13. წებოვანი ქაღალდი (დიდი) | ცალი | 1000 |
| 14. წებოვანი ქაღალდი (პატარა) | ცალი | 1000 |
| 15. კონვერტი A4 (თვითწებადი) | ცალი | 15000 |
| 16. კონვერტი A5 (თვითწებადი) | ცალი | 20000 |
| 17. კონვერტი A6 (თვითწებადი) | ცალი | 5000 |
| 18. სტეპლერი (დიდი) N24/6 | ცალი | 100 |
| 19. სტეპლერი (პატარა) N10 | ცალი | 100 |
| 20. სახვრეტელა ზომის ფიქსატორით (საშ) | ცალი | 100 |
| 21. სტეპლერის ჩხირი (პატარა) N10 | კოლოფი | 500 |
| 22. მაკრატელი | ცალი | 100 |
| 23. სკოჩი (დიდი) | ცალი | 50 |
| 24. სკოჩი (პატარა) | ცალი | 1000 |
| 25. საშლელი | ცალი | 500 |
| 26. სახაზავი 30სმ. | ცალი | 100 |
| 27. სამაგრი (დიდი) (სკრეპი) | კოლოფი | 30 |
| 28. ჩასანიშნი ფურც. | ცალი | 500 |
| 29. სტეპლერის ჩხირი (დიდი) N24/6 | კოლოფი | 300 |
| 30. კალმისტარი როლერი | ცალი | 500 |
| 31. საკანცელარიო დანა (დიდი) | ცალი | 200 |
| 32. საკანცელარიო დანა (პატარა) | ცალი | 200 |
| 33. საკანცელარიო ჯამი | ცალი | 200 |
| 34. ჭიკარტი | კოლოფი | 100 |
| 35. კალკულატორი 12ციფრიანი (საშუალო) | ცალი | 30 |
| 36. ქაღალდის დამჭერი (კლიპი) (პატარა) | ცალი | 200 |
| 37. ქაღალდის დამჭერი (კლიპი) (საშუალო) | ცალი | 200 |
| 38. ქაღალდის დამჭერი (კლიპი) (დიდი) | ცალი | 200 |
| 39. კონვერტი "დიპლომატიური" | ცალი | 5000 |

მეორე ლოტი: ქაღალდი

| | | |
|---|---|---|
| 1. ქაღალდი-80 გრ. A4. 500-ფურცლიანი შეკვრა | შეკვრა | 12000 |

მესამე ლოტი: ფერადი ქაღალდი

| | | |
|---|---|---|
| 1. ფერადი ქაღალდი-80 გრ. A4. 500-ფურცლიანი შეკვრა | შეკვრა | 600 |

მეოთხე ლოტი: კარტრიჯები

| | | |
|---|---|---|
| 1. პრინტერის კარტრიჯი Xerox 3120 | ცალი | 80 |
| 2. Xerox WorkCentre PE16-ის კარტრიჯი | ცალი | 10 |
| 3. Xerox WorkCentre PE120-ის კარტრიჯი | ცალი | 5 |
| 4. პრინტერის კარტრიჯი HP 5/6LL | ცალი | 80 |
| 5. პრინტერის კარტრიჯი HP 5P/6P | ცალი | 20 |
| 6. პრინტერის კარტრიჯი Lexmark E 210 | ცალი | 80 |
| 7. პრინტერის კარტრიჯი HP 1010/1022 | ცალი | 100 |
| 8. პრინტერის კარტრიჯი HP 1100 | ცალი | 20 |
| 9. პრინტერის კარტრიჯი HP 1200 | ცალი | 20 |
| 10. პრინტერის კარტრიჯი HP 1300 | ცალი | 10 |
| 11. პრინტერის კარტრიჯი HP 1320 | ცალი | 40 |
| 12. პრინტერის კარტრიჯი HP 2300 | ცალი | 10 |

მეხუთე ლოტი: ასლგადამღები მანქანა Xerox C45-ის მარაგნაწილები და სახარჯი მასალები

| | | |
|---|---|---|
| 1. ტონერი | ცალი | 80 |
| 2. ბარაბანი | ცალი | 15 |
| 3. ფიუზერი | ცალი | 8 |

მეექვსე ლოტი: RISOGRAPH CR1610[EP] -ის სახარჯი მასალები

| | | |
|---|---|---|
| 1. საღებავი | ცალი | 70 |
| 2. მასტერ ფირი | ცალი | 40 |

- ტენდერში გამარჯვებულმა საქონლის მოწოდება უნდა განახორციელოს შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად 2006 წლის 31 დეკემბრამდე.
- პრეტენდენტებმა დალუქული კონვერტით საკვალიფიკაციო მონაცემები და ერთი სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ **2006 წლის 2 მარტის 1200 სთ-მდე** საქართველოს პარლამენტის აპარატის სატენდერო კომისიის აპარატში სათანადო რეგისტრაციის გავლით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, რუსთაველის 8, დალუქული კონვერტები კომისიის სხდომაზე დასწრების მსურველი პრეტენდენტების თანდასწრებით გაიხსნება **2 მარტის 1200 სთ-ზე** ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.
- პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინონ ორიგინალების ან ნოტარიალურად დამოწმებული ასლების სახით.
- საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებს და ინფორმაციებს:

**- იურიდიული პირისთვის:**

ა) მისი ქონება არ არის დაყადაღებული (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

ბ) მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან და/ან სასამართლოდან);

გ) მისი ხელმძღვანელ(ებ)ი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყო (იყვნენ) მსჯავრდებულ(ნ)ი ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის (მათ) მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის (მათ) სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან);

დ) ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან);

ე) ცნობას მონაწილის იურიდიული სტატუსის შესახებ (რეგისტრაციის მოწმობის ასლი);

ვ) ინფორმაცია განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ.

**ფიზიკური პირისთვის:**

ა) ცნობა, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან);

ბ) მისი ქონება არ არის დაყადაღებული (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

გ) უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან);

დ) მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ან სასამართლოდან);

ე) ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან);

ვ) ცნობას მონაწილის იურიდიული სტატუსის შესახებ (რეგისტრაციის მოწმობის ასლი);

ზ) ინფორმაცია განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ.

- პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებისთვის (შერჩევის პროცედურა), თუ იგი **2 მარტის 1200სთ-მდე** არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ ზემოთ ჩამოთვლილ ყველა ცნობას და ინფორმაციას და/ან სატენდერო წინადადებას ან წარმოდგენილი ცნობებიდან და ინფორმაციიდან რომელიმე ყალბი აღმოჩნდება ან იქნება შეუსაბამობა წინამდებარე განცხადების მოთხოვნებთან და/ან სატენდერო წინადადება არ იქნება შესაბამისობაში სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებთან ან არ იქნება შესაბამისობაში "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონთან და "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულებასთან.
- ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირი იხდის სატენდერო მოსაკრებელს 200 ლარის ოდენობით, სახელმწიფო ხაზინა: მიმღების ანგარიში N200122900, საქართველოს ეროვნულ ბანკი, კოდი 220101107, სახაზინო კოდი 302003000, საქ. პარლამენტის აპარატის მიერ ჩასატარებელი ტენდერის მოსაკრებელი.
- ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა (**არაუგვიანეს 2 მარტის 1200სთ-მდე)** სატენდერო მოსაკრებლის გადახდის ქვითრისა და სატენდერო დოკუმენტაციის მიღების მინდობილობის წარმოდგენისთანავე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის 8, სატენდერო კომისიის აპარატი.
- ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა წინადადება შეიძლება წარმოადგინონ როგორც მთლიანად, ისე ცალკეული ლოტების მიხედვით, შესაბამისად ტენდერის ჩატარებისას შესაძლებელია რამოდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.
- პრეტენდენტმა შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში უნდა წარმოადგინოს შემოთავაზებული საქონლის ნიმუში.
- დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს: **932509 ზაურ ჯიოშვილი**.

**სატენდერო კომისიის თავმჯდომარე**

# წილი ნაყარია

ევროპის ხუთგზის ჩემპიონი ახალგაზრდულ ნაკრებ გუნდებს შორის - იტალიის ნაკრები ტიტულის დაცვას დანიასთან, ჰოლანდიასა და უკრაინასთან მატჩებით დაიწყებს. ასეთია ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის კენჭისყრის შედეგები, რომელიც გუშინ პორტუგალიის ქალაქ პორტუში გაიმართა.

იტალიელებმა ბოლო შვიდი ევროპის ჩემპიონატიდან ხუთი მოიგეს. 2004 წლის ჩემპიონატის ფინალში კი მათ დაამარცხეს სერბეთის ნაკრები - 3:0. თუმცა, ამჯერად კლაუდიო ჯენტილეს გუნდს დიდი ოფლისღვრა მოუწევს, რადგან რთულ, B ჯგუფში მოხვდა, სადაც იტალიელები ეუსებიომ და ეროვნული ნაკრებების საკითხებში უეფას კომიტეტის თავმჯდომარემ ლარს-ოკე ლაგრელმა გაამწესეს.

ჯგუფში პირველ მატჩს იტალიელები გამართვენ დანიის წინააღმდეგ, რომლებსაც 1992 წელს ნახევარფინალში გასვლის შემდეგ ახალგაზრდათა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე აღარ უთამაშიათ. იტალიელთა მომდევნო მეტოქე ევროპის 2007 წლის ჩემპიონატის მასპინძელი ჰოლანდიის ნაკრები იქნება. რაც შეეხება უკრაინას, ის თავისი დამოუკიდებელი არსებობის მანძილზე პირველად მოხვდა ტურნირზე. უკრაინამ გადათამაშებაში ბელგიის ნაკრების წინააღმდეგობა დაძლია. მიხაილიჩენკოს გუნდმა განმეორებით მატჩში 20 წუთში სამი გოლი გაიტანა. დანია კი ფინალურ ეტაპზე დანაკარგის გარეშე გავიდა. მან ჯგუფში, რომელშიც საქართველოს ნაკრებიც ასპარეზობდა, პირველი ადგილი დაიკავა.

რაც შეეხება ტურნირის მასპინძელ პორტუგალიას, გუნდმა 2004 წელს საკუთარ კედლებში ბრინჯაოს მედლები მოიპოვა. ახლა პორტუგალიელები შეეცდებიან უფრო წარმატებით ითამაშონ. თავის ჯგუფში პორტუგალიის ნაკრებმა ათივე მატჩი მოიგო და გადათამაშებაში შვეიცარიის გუნდი დაამარცხა. ტურნირის მასპინძლები ჯგუფურ ეტაპზე სერბებთან, ფრანგებთან და გერმანელებთან შეხვედრებში მოსინჯავენ ძალებს. გერმანელებმა, რომლებიც ევროპის ჩემპიონატს ორი წლის წინათ მასპინძლობდნენ, მაშინ ჯგუფიდან გასვლაც ვერ მოახერხეს. სამფეროვნებმა კი, რომლებიც 1998 წელს ჩემპიონები გახდნენ, ოთხი წლის შემდეგ ვერცხლის მედლები მოიპოვეს, გერმანიაში კი ორი წლის წინანდელ ტურნირზე საერთოდ ვერ გავიდნენ. რაც შეეხება სერბებს, ისინი წინა ჩემპიონატზე ფინალში გავიდნენ. ახლა კი პორტუგალიის საგზურისთვის ბრძოლაში ხორვატებს აჯობეს.

ჩემპიონატი 23 მაისს აიღებს სტარტს. თითოეული გუნდი ჯგუფში სამ მატჩს გამართავს. ჯგუფის ორ-ორი უძლიერესი გუნდი ნახევარფინალში ითამაშებს. ნახევარფინალები კი გაიმართება სტადიონებზე, რომლებიც ევროპის 2004 წლის ჩემპიონატს მასპინძლობდნენ. თამაშები გაიმართება ხუთშაბათს, 1 ივნისს "ბრაგა მუნიციპალზე" და "ავეირუ მუნიციპალზე". ფინალი დაგეგმილია 4 ივნისს და გაიმართება "ბოავიშტას" მშობლიურ "ბესის" სტადიონზე.

**A ჯგუფი:** პორტუგალია, საფრანგეთი, სერბეთი, გერმანია.

**B ჯგუფი:** იტალია, დანია, უკრაინა, ჰოლანდია.

*ფეხბურთი*

# ჩერნიშოვმა "პანდურზე" დაუკრა

მიხეილ აბაიშვილი

თბილისის "დინამო" აგრძელებს საწვრთნელ შეკრებას კვიპროსის ქალაქ ნიქოზიაში. გუშინ ჩვენმა გუნდმა მესამე საკონტროლო მატჩი გამართა რუმინეთის უმაღლესი ლიგის ბინადართან, ეროვნულ ჩემპიონატში მე-12 ადგილზე მყოფ "პანდურთან".

ჩერნიშოვმა გუნდი ისევ ორი შემადგენლობით ათამაშა.

პირველი ტაიმი: ლორია, ლობჟანიძე, ქემოკლიძე, გიგაური, ნავალოვსკი, ნოზაძე, ვიეირა, მახარაძე, მერებაშვილი, დვალი, ბობოხიძე.

მეორე ტაიმი: ლორია, კაშია, ორბელაძე, თომაშვილი, აკობია, ა. კალაძე, მახარაძე, ჩირიკაშვილი, კვიტაიშვილი, ნავალოვსკი, იაშვილი.

მატჩი ცუდ, არასაფეხბურთო ამინდში გაიმართა. 90-ივე წუთმა თავსხმა წვიმისა და ძლიერი ქარის თანხლებით ჩაიარა. ამან თავისი დაღი დაასვა თამაშს. ორივე გუნდის ფეხბურთელები, გასაგები მიზეზის გამო, ბევრ შეცდომას უშვებდნენ. ამის მიუხედავად, განსაკუთრებით პირველ ტაიმში, თბილისის "დინამოს" უპირატესობა აშკარა იყო. შეხვედრის მთავარი მოვლენებიც სწორედ პირველ ორმოცდახუთ წუთში განვითარდა. ანგარიში გახსნა ბობოხიძემ, რომელიც პარტნიორებმა ხელსაყრელ პოზიციაზე გაიყვანეს. პირველივე ტაიმში მერებაშვილმა 2:0-მდე გაზარდა "დინამოს" უპირატესობა. მანვე შესვენებამდე კიდევ ორი გოლი გაიტანა, მაგრამ მსაჯმა ქართველ ნახევარმცველზე წესის დარღვევა აღნიშნა და ეს გოლები არ ჩათვალა.

მეორე ნახევარში ორივე გუნდი შეცვლილი შემადგენლობით გამოვიდა. ამ ცვლილებებმა გაცილებით უკეთესად იმოქმედა რუმინელთა თამაშზე: მათ საკუთარ კარში გოლი აღარ გაუშვიათ. მეორე ტაიმის ფორმაციის "დინამომაც" "მშრალად" შეინახა საკუთარი კარი და მატჩი ჩვენი გუნდის გამარჯვებით - 2:0 დასრულდა.

მიკროტრავმების გამო ვერ ითამაშეს გრიშიკაშვილმა, შაშიაშვილმა, ამბროზიომ და მელქაძემ. შეკრებაზე "დინამოსთან" ერად მყოფი ვიეირას და ამბროზიოს "დინამოში" დარჩენა-არდარჩენის საკითხი ისევ არ არის გადაწყვეტილი. როგორც ადრეც ვწერდით, ანდრეი ჩერნიშოვი ამ ფეხბურთელებთან კონტრაქტის გაფორმების საკითხს თბილისში დაბრუნების შემდეგ გადაწყვეტს.

"დინამო" მორიგ სპარინგმატჩს 11 თებერვალს გამართავს. წინასწარი ინფორმაციით, ჩვენი გუნდის მეტოქე იქნება ერთ-ერთი სამხრეთკორეული გუნდი. თუმცა, როგორც "დინამოს" პრესატაშემ ლევან სალუქვაძემ გვითხრა, შესაძლოა, ამ გუნდთან დაპირისპირებაზე ჩვენებმა უარი თქვან და სხვა მეტოქე მოძებნონ. მიზეზი კი ის გახლავთ, რომ კვიპროსზე ამ კორეულმა გუნდმა ტესტმატჩებში ძირითადად უხეშობით გამოიჩინა თავი. ასეთ გუნდთან თამაშისა და თბილისში ტრავმებით დაბრუნების პერსპექტივა კი "დინამოს" მწვრთნელებს და ხელმძღვანელებს ნამდვილად არ ხიბლავთ.

# თურქები დააჯარიმეს



*თურქეთი მომდევნო 6 თამაშს ცარიელი ტრიბუნების თანხლებით ჩაატარებს.*

გულშემატკივარს ემახსოვრება მატჩი მსოფლიო ჩემპიონატის საგზურისთვის, რომელიც სტამბულში გაიმართა. თურქეთის ნაკრებმა გადათამაშებისას, განმეორებით შეხვედრაში შვეიცარიის გუნდი მიიღო. მატჩის დამთავრების შემდეგ მინდორზე ჩხუბი ატყდა და შვეიცარიელებს სცემეს. ამის გამო ფიფას პრეზიდენტმა იოზეფ ბლატერმა განაცხადა, რომ თურქებს სამაგალითოდ დასჯიდა. შეიძლება 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლიდანაც მოეხსნა.

თუმცა გავიდა დრო და თურქები შესარჩევი ციკლიდან არ მოკვეთეს. სასჯელის სახით ჩვენმა მეზობლებმა მიიღეს 6 თამაში ნეიტრალურ მინდორზე და თანაც დახურულ კარს მიღმა.

შეგახსენებთ, რომ სტამბულური მატჩი 4:2 დასრულდა თურქების გამარჯვებით, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონატის საგზური შვეიცარიის ნაკრებმა მოიპოვა, რადგან პირველი თამაში შვეიცარიელებმა საკუთარ მინდორზე 2:0 მოიგეს და სტუმართა მოედანზე გატანილი გოლების წყალობით უპირატესობა შვეიცარიელებს მიენიჭათ.

ჩხუბი, რომელსაც პირდაპირ ეთერში kanal D აჩვენებდა, მატჩის დამთავრებისთანავე დაიწყო. ტრიბუნებიდან შვეიცარიელ ფეხბურთელებს სხვადასხვა საგნები დაუშინეს. ფეხბურთელები იძულებულნი გახდნენ გასახდელისკენ გაქცეულიყვნენ. გასახდელთან ახლოს ფეხბურთელები ერთმანეთს დაერივნენ და ჩხუბი ატეხეს.

ფიფას საკონტროლო-დისციპლინარული კომიტეტის გადაწყვეტილებით, თურქეთის ნაკრები მომავალ 6 მატჩს ნეიტრალურ მინდორზე გამართავს და თანაც დახურულ კარს მიღმა. სტადიონი უნდა მდებარეობდეს თურქეთის სახელმწიფო საზღვრიდან, სულ ცოტა, 500 კილომეტრის დაშორებით.

ეს ინციდენტი თურქეთის ფეხბურთის ფედერაციას 130 ათასი ევრო დაუჯდა. ამას გარდა, თურქები ვალდებულნი არიან გადაიხადონ სასამართლო ხარჯები, რომელიც დაახლოებით ამდენივე თანხას შეადგენს.

თურქეთის ნაკრების ფეხბურთელები ალპაი ეზალანი (რომელმაც ჩხუბი დაიწყო) და ემრე ბელოზოღლუ დაისაჯნენ 6-მატჩიანი დისკვალიფიკაციით და დაეკისრათ ფულადი ჯარიმა 10 ათასი ევროს ოდენობით. სერკან ბალჩი გამოტოვებს ორ მატჩს და სამი ათას ევროს გადაიხდის. თურქეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელის თანაშემწე მეჰმეთ ეზდილეკი ფეხბურთს ერთი წლით დაემშვიდობა და ფულადი ჯარიმის სახით 10 ათასი ევროს გადახდა დაეკისრა.

დაჯარიმდა შვეიცარიის ნაკრების ფეხბურთელი ბენჯამინ ჰიუგელი. ის 6 თამაშს გამოტოვებს და 10 ათას ევროს გადაიხდის. შვეიცარიელებს კიდევ ერთი სასჯელი შეეხოთ. ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღო გუნდის ფიზიოთერაპევტმა შტეფან მაიერმა. ამასთან, მაიერი 4 ათას ევროს გადაიხდის.

"ყველა სანქცია, სერკან ბალჩისა და შტეფან მაიერის გარდა, შეიძლება გასაჩივრდეს ფიფას სააპელაციო ინსტანციაში. ფიფას წესდების თანახმად, ვერდიქტის გამოსატანად საბოლოო ინსტანცია შეიძლება გახდეს სპორტული საარბიტრაჟო სასამართლო", - ნათქვამია ფიფას განცხადებაში.

*მოკლედ*

# დანია ახლო აღმოსავლეთს უფრთხის

*დანიის ფეხბურთის ფედერაციას განუზრახავს ისრაელის ნაკრებთან ამხანაგური შეხვედრა გააუქმოს, რომლისთვისაც მარტის დასაწყისში რამატ-განეს უნდა ემასპინძლა. საქმე ისაა, რომ დანიაში ახლო აღმოსავლეთში გამგზავრების შიში გაუჩნდათ. შიშის მიზეზი კი ბოლო დროს განვითარებული ეგრეთ წოდებული "კარიკატურული ომია", რომლის შედეგადაც ბეირუთსა და დამასკოში დანიის საელჩოებს თავს დაესხნენ.*

დანიის ფეხბურთის ფედერაციაში ამბობენ, რომ საბოლოო გადაწყვეტილებას ისრაელში გამგზავრება-არგამგზავრების თაობაზე მას შემდეგ მიიღებენ, რაც ფეხბურთის ფედერაციის მესვეურები დანიის სპეცსამსახურებთან კონსულტაციებს გაივლიან. ისრაელში კი სკანდინავიელებისგან საბოლოო პასუხს 21 თებერვალს ელიან.

ისრაელის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარე იჩე მენახემი დანიელთა ზედმეტმა სიფრთხილემ, ცოტა არ იყოს, გააკვირვა: "დანიელებს უნდა ესმოდეთ, რომ ისრაელი მათთვის ყველაზე უსაფრთხო ადგილია. თითოეული ეროვნული ნაკრები, ვისაც აქ უთამაშია, ჩვენი მიღებითა და უსაფრთხოების უზრუნველყოფით კმაყოფილი დარჩენილა".

საგულისხმოა ჰამასის ტერორისტთა ერთ-ერთი ლიდერის მაჰმუდ აზ-ზახარის ცოტა ხნის წინ გაკეთებული განცხადება, რომლის მიხედვითაც აუცილებლად უნდა დაისაჯონ ისინი, ვინც წინასწარმეტყველი მუჰამედის კარიკატურა დახატეს.

ამასობაში მაგიდის ჩოგბურთში დანიის ნაკრებმა უარი თქვა მონაწილეობა მიიღოს სატურნირო სერიებში, რომელსაც ყატარსა და კუვეიტში 13 თებერვალს მიეცემა სტარტი. ერთი სიტყვით, მათი გადაწყვეტილების მიზეზიც ახლო აღმოსავლეთში გამძაფრებული ვითარებაა, რომელსაც, თავის მხრივ, ევროპულ პრესაში გამოქვეყნებულ წინასწარმეტყველ მუჰამედზე შექმნილ კარიკატურებთან მივყავართ.

"რადგან ჩვენი სპორტსმენების უსაფრთხოებაზე ვზრუნავთ, ჩვენ არ წავალთ ყატარსა და კუვეიტში", - დანიის ხელისუფლებისგან მიღებული რჩევა-დარიგებების შემდეგ განაცხადა დანიის მაგიდის ჩოგბურთის ასოციაციის მეთაურმა აქსელ ბეკმანმა.


**ქალაქ თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის მიერ 2006 წლის 7 თებერვალს გამოქვეყნებულ ქ. თბილისში მუნიციპალური მყარი და დიდი ზომის ნარჩენების, ქუჩების დაგვა-დასუფთავებისას შეგროვებული ნარჩენების ნაგავსაყრელამდე ტრანსპორტირების მომსახურების შესყიდვის მრავალწლიან, ღია, საერთაშორისო, ორეტაპიანი ტენდერის განცხადებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

ქალაქ თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის მიერ 2006 წლის 7 თებერვალს გამოქვეყნებულ ქ. თბილისში მუნიციპალური მყარი და დიდი ზომის ნარჩენების, ქუჩების დაგვა-დასუფთავებისას შეგროვებული ნარჩენების ნაგავსაყრელამდე ტრანსპორტირების მომსახურების შესყიდვის მრავალწლიან, ღია, საერთაშორისო, ორეტაპიან ტენდერის განცხადებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა ტენდერში მონაწილეობის მსურველის მიერ სატენდერო მოსაკრებელის 200.00 (ორასი) ლარის ოდენობის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ 2006 წლის 9 იანვრიდან 2006 წლის 28 თებერვლამდე შემდეგ მისამართზე: საქართველო, თბილისი, 0179, მერაბ კოსტავას I შესახვევი N33, III სართული; ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

სატენდერო მოსაკრებელი უნდა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო შემოსავლებისათვის (რაიონების მიხედვით ა. N 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: გლდანი-ნაძალადევის რაიონი 300014040; დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი 300024040; მთაწმინდა-კრწანისის რაიონი 300034040; ვაკე-საბურთალოს რაიონი 300044040; ისანი-სამგორის რაიონი 300054040; დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი).



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

**შ ე ს წ ო რ ე ბ ა**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გაზეთ "24 საათში" მ\წლის 27 იანვარს - საწვავის შეძენაზე; 3 თებერვალს - დეფექტური აქტებისა და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებაზე; 4 თებერვალს - საკანცელარიო საქონლის შეძენაზე და 7 თებერვალს - ავტომობილების შეძენაზე გამოცხადდა ტენდერები. სატენდერო განცხადებების ტექსტში, კერძოდ, **საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი** არასწორადაა მითითებული. ნაცვლად 30200300 უნდა იყოს **300023133.**

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო*



**ლუდსახარში ნატახტარი, რომელიც აწარმოებს რამოდენიმე სახის ლუდსა და ლიმონათს, გაცნობებთ, რომ 2006 წლის 8 თებერვლიდან 2006 წლის 1 მარტამდე აცხადებს ტენდერს ნატახტრის პროდუქციის რეგიონალურ დისტრიბუციაზე**

**ტენდერში მონაწილეობისათვის აუცილებელია:**

**- სამომხმარებლო საქონლის დისტრიბუციის გამოცდილება**
**- მფლობელობაში სასაწყობო მეურნეობის არსებობა**
**- მფლობელობაში სატრანსპორტო საშუალებების არსებობა**
**- საწყისი კაპიტალის არსებობა**

**განაცხადი მიიღება შემდეგ მისამართზე:**

**ქ. თბილისი ა.წერეთლის გამზირი N 87ა ან გამოაგზავნეთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით შემდეგ მისამართებზე**
**kp@lomisi.com**
**lomisiltd@yahoo.com**
**დამატებითი კითხვებისათვის დაგვიკავშირდით შემდეგ ნომრებზე:**
**35 72 23, 26 11 37**



# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად განმეორებით აცხადებს ღია ტენდერს 2006 წლისათვის კვების პროდუქტების შესყიდვაზე და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს. დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები.

| ლოტი N | დასახელება | წონა (გრამი) | რაოდენობა სულ | მიწოდების ვადები | მიწოდების ადგილი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | საქონლის ხორცის კონსერვი (ქილა) | 325 | 40680 | ყოველთვიურად 3390 ქილა | ქ, თბილისი, წერეთლის გამზ. N56, სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დიპლომატიური წარმომადგენლობის დაცვის სამმართველო |
| 2 | თევზის კონსერვი ზეთში (ქილა) | 160 | 40680 | ყოველთვიურად 3390 ქილა | |
| 3 | საქონლის პაშტეტი (ქილა) | 100 | 40680 | ყოველთვიურად 3390 ქილა | |
| 4 | შოკოლადის ნაწარმი | 40 | 40680 | ყოველთვიურად 3390 ცალი | |

2. დაინტერესებულ პირებმა ღია ტენდერში მონაწილეობისათვის უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით. ჩვენი რეკვიზიტებია: ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, საიდენტიფიკაციო კოდი 211350928, ანგარიშის N345919, ბანკის კოდი 220101757. სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი უნდა წარმოადგინოთ შემდეგ მისამართზე: ქ, თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-11 კმ. სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია. სატენდერო დოკუმენტაცია გიაცემა ა.წ. 9 თებერვლიდან 2 მარტამდე.

3. ტენდერში გამარჯვებულმა უნდა უზრუნველყოს საქონლის მოწოდება საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ შედგენილი გრაფიკის შესაბამისად შემდეგ მისამართზე: ქ, თბილისი, წერეთლის გამზ. N56, სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დიპლომატიური წარმომადგენლობის დაცვის სამმართველო.

4. ტენდერის შედეგად შესაძლებელია რამოდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა, რომლებსაც მიენიჭებათ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ცალკეული ნაწილების (ელემენტების) შესრულების უფლება.

5. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მანაცენები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე **ა.წ. 1 მარტიდან 2 მარტის 17 საათამდე** სატენდერო კომისიაში შემდეგ მისამართზე:

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-11 კმ. სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი.

6. საკვალიფიკაციო მონაცენები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

ა) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია;

ბ) ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმე;

გ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

7. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას, თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

8. პრეტენდენტის სატენდერო წინადადების მიღების ბოლო ვადაა **2006 წლის 2 მარტის 17 საათი.** სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით ზემოთ აღნიშნულ მისამართზე **2006 წლის 2 მარტს 17 საათზე.**

9. დაწვრილებითი ცნობების მისაღებად მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-11 კმ.

საკონტაქტო პირი გურამ გოცაძე ტელ.N: **517406** ან **893434283.**

***სატენდერო კომისია***



**ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების დამატება**

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მიერ 24 იანვარს გაზეთ "24 საათში" საავტომობილო საწვავის შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ტენდერის განცხადებაში შესული ცვლილებები და დამატებები:

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო აცხადებს ტენდერს 11 520 ლიტრი "პრემიუმის" - A93 ტიპის და 40 000 ლიტრი "ავანგარდის" - A95 ტიპის საავტომობილო საწვავის შესასყიდად და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.

# ქალი ჯაზური სახლიდან

სოფო კილასონია



სახლში თითქმის ყოველთვის მუსიკა ისმის. ყველაზე ხშირად ჯაზური. "სახლიც ჯაზურია", - მეუბნება დიასახლისი, რომელიც სულ მალე დიდ მისაღებ ოთახში სცენას მოაწყობს და მუსიკალური საღამოების ტრადიციას განაახლებს, მერე მეც დამპატიჟებს. პასტელურ ფერებში შეღებილი კედლები ადამიანებით და იმ მუსიკით გაივსება, რომელსაც ჩემი მასპინძელი ინტელექტუალურს ეძახის, მაგრამ მაინც მეუბნება, რომ ჯაზის ამოხსნა შეუძლებელია, "ჯაზი დაჩაგრული, მაგრამ ტემპერამენტული ადამიანების მუსიკაა". მის სისხლში ებრაული ჭარბობს, ტემპერამენტის ნაკლებობას კი არ უჩივის. ეტყობა, ამით ხსნის იმას, რომ ჯაზს შავკანიანივით მღერის და იმპროვიზაციის დიდი ოსტატია.

გულიკო ჭანტურია საზოგადოების წინაშე სცენაზე გამოსვლით დიდად განებივრებული არ არის, მაგრამ მას თავისი ადგილი ყოველთვის ჰქონდა და აქვს, თანაც განსაკუთრებული ადგილი, მათთვის, ვინც ხარისხს, პროფესიონალიზმსა და, რაც მთავარია, თავისუფლებას ნებისმიერი მიმართულების მუსიკაში ეძებს. აღარაფერს ვამბობ ჯაზის მოყვარულებზე... ჩვენთან მაინც არიან ადამიანები, ვინც სულ ცოტათი მაინც არჩევენ ორიგინალურ იმპროვიზაციებს შაბლონური და ყველაფერსმოკლებული კომპოზიციებისგან, ვისაც "განსაკუთრებული" და "უცნაური" პორტრეტები უფრო ხიბლავს, ვიდრე საგულდაგულოდ დალაგებული, სტანდარტული, ანტიკური ანფასები. მათი და პირველ რიგში საკუთარი თავის სიამოვნებისთვის ქალბატონი გულიკო 12 თებერვალს "ვაკის კლუბში" ჯაზის ღამეს გამართავს.

ამბობს, რომ ყველა წრიდან და სივრციდან ყოველთვის ამოვარდნილი იყო და არის. ამიტომაც პრობლემები არ თავდება, თუმცა, ამ "ამოვარდნილობით" ის ამაყობს. სხვა საკითხია, რამდენად ახდენს თვითრეალიზაციას. ეს ყველაზე მტკივნეული საკითხია, მაგრამ რადგან 12-ში იმღერებს, ე.ი. რაღაც კარგი მაინც ხდება მის შემოქმედებაში.

ვეუბნები, რომ მისი ხმა ბავშვობიდან მახსოვს. ისიც მახსოვს, რომ სხვებს არ ჰგავდა. იცინის და მეუბნება, მატყობს, რომ ვიცნობ. ახლა უფრო თამამად შეუძლია მესაუბროს.

მესაუბრა არც ისე ბევრ რამეზე, მაგრამ მთავარზე. ბიოგრაფიის თხრობა მაინცდამაინც თანამიმდევრულად არ გამოგვივიდა. შესაძლოა იმიტომ, რომ ეს არ არის მისთვის მთავარი. მაინც შემახსენა სხვადასხვა ქვეყანაში გამართული არაერთი ჯაზ-ფესტივალი. ისიც, რომ ახლა ჯაზური მუსიკის კონკურსების კომისიებში იწვევენ. აქ არა, სხვა ქვეყნებში. სიამოვნებით მოიგონა რამდენიმე სცენა ცხოვრებიდან. კონცერტი ჯანო კახიძესთან ერთად, ღირსების ორდენი ჯაზის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის, ამას წინათ კიევში გამართული ქართული კულტურის დღეები. მაშინ მეგობარი ქვეყნის დედაქალაქიდან მოწვევა მიიღო. კიევში გამართულ სოლო-კონცერტს სასიამოვნო გამოხმაურება ჰქონდა.

შიგადაშიგ არის ისეთი ფაქტები, რომლებიც მასთან საუბრისას ჩემს გაკვირვებას იწვევს. მაგალითად ის, რომ თბილისის ჯაზფესტივალებზე მასპინძელ შემსრულებელთა შორის იგი არ მახსენდება. იმიტომ კი არა, რომ მას არა აქვს ამის სურვილი... თუმცა, დღეს ხომ ყველა ჯაზის მომღერალია, ვინც ინგლისური სიტყვა თქვა და "შაბა-დუბაც" ისწავლა. მაგრამ სხვებზე, ჩემგან განსხვავებით, ჩემი რესპონდენტი არ საუბრობს, არჩევანს მსმენელს უტოვებს. ისევ რაღაცებს ვიგონებთ.

ეს მუსიკა ბავშვობაში არ მოესმინა. ხალხურს მღეროდა, მაგრამ იყო ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა. მისი ტემბრი და შესრულების მანერა სულ სხვა იყო, ვიდრე ქართულ სიმღერას შეეფერებოდა, მაგრამ რა იყო ის, რაც მისგან ესმოდათ, ბევრს ვერ გაეგო. ვერც მას. მერე მუსიკოსების წრეში მოხვდა. ისინი ჯაზით ცოცხლობდნენ. სწორედ მათ აღმოუჩინეს ჯაზური ტემბრი, შემდეგ კი ჯაზური რიტმი, ანუ "სვინგი", რომელიც ყველაზე დიდი სიმდიდრეა ნებისმიერი ნამდვილი ჯაზმენისთვის. პირველი, რაც ხელში მიაწოდეს, ელა ფიცჯერალდის ძველებური, შავი და პრიალა ფირფიტა იყო. პირველი კომპოზიცია - "პაგანინი" და ყველაფერი დატრიალდა. იხსენებს, რომ მაშინ დაზეპირება დაიწყო, რადგან ახალი ხილის ჰარმონია ცოტა რთულად მოეჩვენა. მერე დაიწყო. დაიწყო ყველაზე მთავარი და სასიამოვნო: "საკუთარი ჯაზი" და იმპროვიზაციების, მუსიკალური აზროვნების დრო.

მაშინ თვრამეტი წლის იყო. "ეს დიდი ხნის წინ მოხდა", მაგრამ მეუბნება, რომ ჯაზში ყველაფერი ორმოცდაათის შემდეგ იწყება. დღეს უკვე კარიერის წარმართვაში შვილები ეხმარებიან, ხან ტექსტებს უწერენ სიმღერებისთვის, ხან მისი კლიპის რეჟისორად გვევლინებიან. ოჯახი ისაა, რითაც ყველაზე მეტად ამაყობს. საერთოდაც ფიქრობს, რომ ხელოვნებაში და მის საქმეში არაფერი გამოვა, თუ ცხოვრებაში ყველაფერი არ იქნება "დალაგებული, სუფთა და მოწესრიგებული". მისთვის მთავარი სიყვარულია, გრძნობა, რომლის გარეშეც, მისი აზრით, "ვერც ჯაზში და ვერც ვერაფერში ადამიანები მწვერვალს ვერ მიაღწევენ".

# ეკა და მემარჯვენე

FM ცხელი 92.0

**ეკა კვესიტაძე**: საქართველოს პარლამენტმა კონფლიქტის ზონაში რუსი სამშვიდობოების დარჩენის მიზანშეწონილობა კიდევ ერთხელ განიხილა. იქნება თუ არა ამ საკითხში პარლამენტის მთელი შემადგენლობა ერთსულოვანი? ამის გარკვევას დღეს შევეცდებით. დიალოგების სტუმარია მემარჯვენე მამუკა კაციტაძე. რამდენად კონსოლიდირებული იქნება ოპოზიცია ამ საკითხში და რამდენად დაუჭერს ის მხარს ხელისუფლებას?

**მამუკა კაციტაძე**: საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება კონკრეტული ვადების გაწერის თაობაზე ცხინვალის რეგიონიდან და აფხაზეთიდან სამშვიდობოების გაყვანასთან დაკავშირებით. ვადების განსაზღვრა 10 თებერვლამდე ან სხვა თარიღამდე არაფრის მომცემი არ იქნებოდა. არ უნდა ველოდოთ, რომ გამოსწორდებიან და ა.შ. ისინი თავის საქმეს გააგრძელებენ. ამიტომ მთავრობას მივმართავდით, რომ დადგენილების მიღებისთანავე დაეწყო მუშაობა იმ გეგმაზე, რომლის თანახმადაც რუსი სამშვიდობოები გასულიყვნენ საქართველოს ტერიტორიიდან. დადგენილება გულისხმობდა 10 თებერვლამდე ვადას. ეს იყო გამოსაცდელი დრო რუსებისთვის. არაფერი ამ ხნის განმავლობაში უკეთესობისკენ არ შეცვლილა. როდესაც დაიწყო საუბარი რუსეთის ბაზების გაყვანასთან დაკავშირებით, ამას მხარი დავუჭირეთ. როცა ვადებზე დაიწყო საუბარი, მიუხედავად იმისა, რომ ბოლომდე არ ვეთანხმებოდით, მაინც დავუჭირეთ მხარი. ახლა მესამე ნაბიჯია გადასადგმელი - დსთ-დან გამოსვლა.

**ეკა კვესიტაძე**: რამდენად ეთანხმებით არგუმენტებს იმის თაობაზე, რომ ჯერ არ არის დრო, საქართველომ დსთ-ს სივრცე დატოვოს?

**მამუკა კაციტაძე**: არგუმენტებს იშველიებენ, მაგრამ ისინი ბუნდოვანია. სულ რამდენიმე დღის წინ პრეზიდენტმა გერმანიაში განაცხადა, რომ საქართველო აღარ შეუერთდება დსთ-ს კოლექტიურ უსაფრთხოების საბჭოს. ესე იგი, შეიძლება ვიფიქროთ, რომ გამოსვლის პროცესი დაწყებულია. ჩვენ ყოველთვის ვამბობდით, რომ ცხინვალიდან და აფხაზეთიდან ჯარების გაყვანის საკითხი არ უნდა გახდეს ვაჭრობის თემა, თანაც ეკონომიკურ ჭრილში. თავის დროზე სერიოზულად დაისვა საკითხი მაგისტრალური გაზსადენის გაყიდვასთან დაკავშირებით. მაშინ ჩვენმა მთავრობამ ცალსახად განაცხადა, რომ რუსებს არ მიჰყიდიდა, თუმცა, ბენდუქიძე მაშინვე დასაშვებად მიიჩნევდა ამას. არადა, ამ შემთხვევაში ძალიან გაგვიჭირდება დსთ-დან გამოსვლა. რუსეთი ხდება დიდი მონოპოლისტი ჩვენს ტერიტორიაზე. რა გამოდის? ერთი მხრივ, ვემიჯნებით რუსეთს, მეორე მხრივ, დიდ ბერკეტებს ვაწვდით ხელში.

**ეკა კვესიტაძე**: გინდათ თქვათ, რომ საქართველოსა და რუსეთის ხელისუფლებას შორის მიმდინარეობს ვაჭრობა იმის თაობაზე, რომ თუ ისინი გაიყვანენ სამშვიდობოებს, ჩვენ დავუთმობთ სტრატეგიულ ობიექტებს?

**მამუკა კაციტაძე**: დასაშვებად მიგვაჩნია, რომ სამშვიდობო ძალებისა და ბაზების გაყვანის პარალელურად საქართველოს ხელისუფლებას კონკრეტულ ეკონომიკურ პროექტებში მონაწილეობა შეეთავაზებინა რუსეთის ხელისუფლებისთვის. შესაძლოა, მსგავსი შეთავაზება უკვე მოხდა.

**ეკა კვესიტაძე**: უერთდებით დემოკრატიული ფრონტის მოთხოვნას, რომ დადგეს ბენდუქიძის პასუხისმგებლობის საკითხი?

**მამუკა კაციტაძე**: როდესაც ეს მოთხოვნა განაცხადეს, ჩვენ გამოვთქვით აზრი: სულაც არ არის გასაკვირი, რომ კახა ბენდუქიძის ინტერესები რუსეთის ვექტორზე გადის. ჩვენ ვაცხადებთ, რომ მთავარია გუნდურობის პრინციპი იყოს მთავრობაში. არ შეიძლება ერთი მინისტრი ერთს ამბობდეს, მეორე - მეორეს. ამ დროს იბადება ორი განსხვავებული აზრი: ან მთავრობა არ არის ერთიანი გუნდი, ანდა ეს ყველაფერი თამაშია. რა ხდება, ამაზე მთავრობამ უნდა გაგვცეს პასუხი.

# ბრანჯელინა



"ბენიფერი" - ასე დაარქვა პრესამ ბენ აფლეკისა და ჯენიფერ ლოპესის რომანს. შემდეგ გაჩნდა "თომქეთი" - თომ კრუზისა და ქეითი ჰოლმსის სიყვარულის აღსანიშნავად. ორივე სახელი გაჩნდა პრესის დაუოკებელი ინტერესის გამო ამ ჰოლივუდელი წყვილების მიმართ. ახლა პრესამ კიდევ ერთი მეტსახელი მოიფიქრა - "ბრანგელინა", რაც ბრედ პიტისა და ანჯელინა ჯოლის სიყვარულს ნიშნავს. ზოგიერთი დამკვირვებლის აზრით, ინტერესი ყოველგვარ საზღვარს სცდება და სიგიჟეს ემსგავსება.

ამის დასტურად საკმარისია გავიხსენოთ თუნდაც ის ეიფორია, რაც მსოფლიო პრესაში ჯოლის ორსულობის შესახებ განცხადებას მოჰყვა. თითოეულ გაზეთსა და ჟურნალს საკუთარი ვერსია ჰქონდა: ჯოლი გოგონას ელოდება, არა - ბიჭს, არა, ცდებით - ტყუპებს! ყველა ცალ-ცალკე ვარაუდობდა, რომ წყვილი დაქორწინებას წმინდა ვალენტინის დღეს მალიბუში აპირებს, ან შეიძლება ჯორჯ ქლუნის იტალიურ ვილაში შეუღლდნენ, თუ უკვე არ დაიწერეს ჯვარი ბუდისტური ტრადიციის თანახმად და თან ყველასგან საიდუმლოდ...

ყველაზე ცნობისმოყვარე რეპორტიორები საქორწილო მენიუს შესახებაც წერდნენ. ამბობდნენ, რომ "ბრანგელინამ" ცნობილი ბრიტანელი მზარეული ჯეიმი ოლივერი დაიქირავა სუფრის შესადგენად, მადონას მეუღლე გაი რიჩი ხელისმომკიდე უნდა იყოს, ერთმა იტალიელმა იუველირმა კი ბეჭდები უნდა დაამზადოს.

ვილაცები ჯენიფერ ანისტონის ფსიქიკურ მდგომარეობაზეც ნერვიულობდნენ და ამბობდნენ, რომ ბრედ პიტის ყოფილი მეუღლე ამ ამბავს ვერ გადაიტანს; თანაც, ანჯელინა ჯოლიც ხომ ორჯერ გახლდათ გათხოვილი.

"ბრანგელინას" მითი ალბათ უფრო წარმოუდგენელ მასშტაბებს მიიღებდა, ბრედ პიტის პრესაგენტი სინდი გუაჯენტი რომ არ ჩარეულიყო საქმეში. მისი თქმით, "ამ თემაზე ლაპარაკს არავინ აპირებს. ერთადერთი თხოვნა იქნება, რომ წყვილს თავი დაანებოთ. არ არსებობს იტალიაში ქორწილის გამართვის არანაირი გეგმა, თუმცა არც ის მინდა, ქვეყანას მოსდოთ, რომ დაქორწინებას არ აპირებენ. მოკლედ, სჯობს, უბრალოდ ეს თემა დაივიწყოთ!"

ბრძანების გაცემა იოლია, ფანების დამორჩილება კი - ძნელი. ვინც ბულვარულ პრესაში ახალს ველარაფერს კითხულობს საყვარელი წყვილის შესახებ, მათ ნუგეშად ასეთი ვებ-გვერდი დარჩენიათ: brangelina.net.

ჰოლივუდის და პოპკულტურის მკვლევარები და PR-კონსულტანტები კი ცდილობენ, საკითხის არსს უფრო ღრმად ჩასწვდნენ. კენ სანშაინი - პიარ-აგენტი, რომელიც რამდენიმე ვარსკვლავ კლიენტს ემსახურება, აცხადებს: "ინტერესი და აღტაცება ვარსკვლავების მიმართ მედიას ყოველთვის ახასიათებდა, მაგრამ ახლა ეს უკვე სიგიჟეში გადადის".

ამ სიგიჟეს ჟურნალი "თაიმიც" ამჩნევს. წინა კვირის ნომერში გამოქვეყნდა მწარე სატირული კარიკატურა, რომლის შინაარსიც ასეთი იყო: ომის ტყვეების საწამებლად ციხეებში ახალი მეთოდი დანერგეს - პატიმრებს ჯოლის ორსულობისა და ქორწინების შესახებ ახალ ამბავს ასმენინებენ და ასე აწამებენ.

კენ სანშაინის აზრით, მედიის უსაზღვრო ინტერესს მათი პირადი ცხოვრების მიმართ ანჯელინა ჯოლი და ბრედ პიტი ოსტატურად უმკლავდებიან. მისი აზრით, არჩეული ტაქტიკა - დუმილის და ყველაფრის უარყოფის - მშვენიერი ტაქტიკაა, რადგან მედია "ბრანგელინას" არც გულწრფელობისა და გახსნილობის შემთხვევაში დაივიწყებდა. სანშაინი დასძენს: "ეს არასდროს ხდება. პრესა მოსვენებას არავის აძლევს. პაპარაცის სიმართლე არ სჭირდება. მათ სჭირდებათ მითი, გამოგონილი და რაღაც იდუმალების ბურუსით მოცული". "ბრანგელინას" ლეგენდაც ამის დასტურია.

## სწავლა ლონდონში
London school of Commerce (LSC)

London School of Commerce (LSC) დივიზიონი, ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლა (STM) გიწვევთ ხარისხის მოსაპოვებლად შემდეგი პროგრამების ფარგლებში ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლის (ლონდონი) კამპუსი მდებარეობს ლონდონ ბრიჯთან. ეს ის ადგილია, სადაც ლონდონის ღირსშესანიშნაობებია თავმოყრილი. პროგრამები ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად ხორციელდება. UNIVERSITY OF SUNDERLAND (გაერთიანებული სამეფო) უნივერსიტეტთან ერთად, ხოლო პროგრამები მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად ხორციელდება LIVERPOOL JOHN MOORES UNIVERSITY (LJMU) და UNIVERSITY OF EAST LONDON (UEL) უნივერსიტეტთან ერთად.

პროგრამები ცხადდება წელიწადში სამჯერ - აპრილი/აგვისტო/ნოემბერი. მორიგი კურსის დაწყების თარიღია 2006 10 აპრილი.

MBA
- მარკეტინგი
- ფინანსები
- საერთაშორისო მენეჯმენტი

სრული კურსის ფასი
J 4950
ხანგრძლივობა 1 წელი

ბიზნესისა ან ბიზნესინფორმაციული ტექნოლოგიების პროგრამების ფარგლებში ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად 2-წლიანი დაჩქარებული კურსის BA(HONS)BS, BSc BS. მთლიანი ღირებულებაა J 5950. ზემოთ აღნიშნული თანხის გადახდა შესაძლებელია ეტაპობრივად. იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც ზემოაღნიშნული პროგრამებით სწავლობენ, ერთწლიანი ინტენსიური ინგლისური ენის კურსის გავლა შესაძლებელია დამატებითი J 1000 -ის გადახდის შემდეგ. იმ სტუდენტებისათვის, რომელთაც მაღალი აკადემიური მოსწრება არა აქვთ, ხელმისაწვდომია მოსამზადებელი პროგრამები.

**დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით:**
ნონა მესხიშვილი / ტექნოლოგიის და მენეჯმენტის მიმღები განყოფილება
მის: თბილისი, ვაჟა-ფშაველას 45, მე-5 სართული, ოფისი 504. ბრიტანეთის სახლი
ტელ: + 995 32 42 00 50
ტელ/ფაქს: + 995 32 42 00 40 , მობ. + 995 77 42 35 69
Email: info@stmlondon.co.uk
Email: nona-STM@mail.ru

ბეიბი ლენდი

## სადღესასწაულო გასართობი ცენტრი "ბეიბი ლენდი"

საუცხოო მენიუ და ფანტასტიკური მომსახურება

გართობა ასაკის მიხედვით (2-დან 15 წლამდე)
ჯამბაზი ამერიგო, თოჯინების თეატრი, "გამოიცანი მელოდია", კარაოკე, ინტელექტუალური თამაშები, ქართული "ფორტი ბოაიარდი"
მენიუ 6 ლარიდან
"ბეიბი ლენდი" - საოცრებათა სამყარო თქვენი ბავშვებისთვის
ტელ.: 36 34 57, 8 77 46 32 98
მისამართი: კოსტავას ქ. 67 (ტელევიზიის პირდაპირ)

## გამაჯანსაღებელი ცენტრი
ნაუტილუსი



გთავაზობთ:
- აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა
- "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

მისამართი: ი.ჭავჭავაძის 78
ტელ: 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge





## სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78
ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26
ელ. ფოსტა: info@nautilus.ge

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** ქ. ბათუმის საქალაქო მეურნეობის სამსახური (ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25) აცხადებს ღია ორეტაპიან ტენდერს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედეგენის ინტელექტუალური მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**შესყიდვა განხორციელდება შემდეგი ლოტების შესაბამისად:**

**ლოტი N1** ისტორიულ "ძველი ბათუმის" ტერიტორიაზე (გოგებაშვილის, ჭავჭავაძის, ბარათაშვილისა და მ. აბაშიძის ქუჩებზე) სანიაღვრე სისტემის წყლისა და სამეურნეო ფეკალური კანალიზაციის სისტემების რეაბილიტაციის, გოგოლის ქუჩის სანიაღვრე კოლექტორის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის, ლ. ასათიანის ქუჩის სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია (ურეხის ქუჩის შესახვევიდან ბაგრატიონის ქუჩამდე), ოსტროვსკის ქუჩის სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია (26 მაისის ქუჩიდან ხიმშიაშვილის ქუჩამდე), პარიზის კომუნის ქუჩის, იოსელიანის ქუჩის, 26 კომისრის ქუჩის სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია, ბესიკის ქუჩის სანიაღვრე კოლექტორის რეაბილიტაცია (26 მაისის ქუჩიდან გ. ბრწყინვალის ქუჩამდე), ინასარიძის ქუჩის N6 N8 N10-ში საცხოვრებელ სახლებთან მიმდებარე ტერიტორიის სანიაღვრე სისტემის მოწყობა, ტაბიძისა და ლეონიძის ქუჩების კვეთაში საცხოვრებელი კვარტლის სანიაღვრე სისტემის რეკონსტრუქციის, მ. კომახიძის ქუჩის, ლ. ასათიანის მე-3 შესახვევის, დ. გურამიშვილის შესახვევისა და სააკაძის ქუჩის კანალიზირების სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედეგენის მომსახურება.

**ლოტი N2** რუსთაველის ქუჩის რეაბილიტაციის, გოგებაშვილის ქუჩის ასფალტირების (თავისუფლების მოედნიდან ობელისკამდე), ტბელ აბუსერიძისა და გრიბოედოვის ქუჩების კვეთის კეთილმოწყობის სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედეგენის მომსახურება.

**ლოტი N3** ქ. ბათუმში გოგებაშვილის N74-ში და ახმეტელის N1,3,5,7,9-ში მდებარე სახლების ფასადების პოლიკარბონატული ფილებით მოპირკეთების სამუშაოების, ქალაქის გამწვანების (ხეების დარგვის) სამუშაოების, სპორტული მოედნების მოწყობის სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება.

**2. მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან ორი თვის პერიოდი.**

**3. დაინტერესებულმა პირებმა პირველად სატენდერო წინადადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს საკვალიფიკაციო მონაცემები (ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით).**

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1 იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობას, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია და მის მიმართ გაკოტრებისა და სანაციის საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საგადასახადოდან და სასამართლოდან);

ბ) ცნობას შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ. (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

დ) ცნობას საქართველოს შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელი მუშაკები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულები და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

**4.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია.

ბ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს სასამართლოდან).

გ) ცნობას საქართველოს შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმატიზაციის სამმართველოდან);

**4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ.

გ) ცნობა შესაბამისი საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;

დ) ინფორმაცია ტექნიკური პერსონალის კვალიფიკაციის შესახებ.

ე) ინფორმაცია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ (აუდიტორული დასკვნა).

ვ) ინფორმაცია უკანასკნელი პერიობის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ.

**5.** თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებამდე

**6. პრეტენდენტმა საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად უნდა წარმოადგინოს პირველადი სატენსერო წინადადება ღირებულების გარეშე.**

**7. ინსტრუქცია პირველადი სატენდერო წინადადების შედგენის წესის შესახებ:**

პირველადი სატენდერო წინადადება შედგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე;

პირველადი სატენდერო წინადადება ღირებულების გარეშე წარმოდგენილი უნდა იქნას საკვალიფიკაციო მონცემებთან ერთად ერთი დახურული კონვერტით;

პირველადი სატენდერო წინადადებით წარმოდგენილი უნდა იქნას ზოგადი მონაცემები საპროექტო სამუშაოების შესახებ (თუ როგორ განახორციელებენ აღნიშნულ საპროექტო სამუშაოებს), რომლის საფუძველზეც შემდგომში შესაძლებელია სატენდერო დოკუმენტაციის და ტექნიკური პირობების დაზუსტება.

**8. დაინტერესებულმა პირებმა განცხადება (დალუქვის გარეშე), პირველადი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები ორ ეგზემპლარად, დალუქული პაკეტებით უნდა წარმოადგინონ სატენდერო კომისიის აპარატში 2006 წლის 1 მარტიდან 2006 წლის 2 მარტამდე 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25, საქალაქო მეურნეობის სამსახური.**

**9.** სატენდერო კომისიაში შემოსული საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადებები საექსპერტო დასკვნისათვის წარედგინება შესასყიდი მომსახურების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელი შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს საექსპერტო კომისიას, რომლის დასკვნაც წარმოადგენს სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტთა შერჩევის საფუძველს.

**10.** სატენდერო კომისია მეორე ეტაპზე მოიწვევს მხოლოდ იმ პრეტენდენტებს, რომლებიც თავისი საკვალიფიკაციო მონაცემებით და შემოთავაზებული წინადადებით შეესაბემებიან პირველი ეტაპისათვის დადგენილ პირობებს და იქნება შესასყიდი მომსახურების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელი შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს დადებითი დასკვნა.

**11. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება 2006 წლის 1 მარტის 18 საათამდე ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის (ქ. ბათუმის საფინანსო სამსახურის სპეციალური ანგარიში N000142402, ბანკის კოდი 220501102, საინ. კოდი 245428531, დანიშნულება სატენდერო მოსაკრებელი) გადახდის შემდეგ, შეეძლებათ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25.**

**12.** ტენდერში ლოტების მიხედვით შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

**13**. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - მანუჩარ მეგრელიშვილი, ტ. 7-66-40, მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25.

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. მცხეთის გამგეობა აცხადებს ღია ტენდერს ორ ლოტად.

I ლოტი: ქ. მცხეთაში ქუჩებისა და მოედნების დაგვა-დასუფთავების, მონახვეტისა და საოჯახო ნარჩენების გატანის, ნაგავსაყრელის ტერიტორიის მიწის დამუშავების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება:

ქუჩების II კატეგორია დასაგველი ტერიტორიის საერთო ფართობი შეადგენს 140700 კვ მ.

ნაგავშემკრები კონტეინერების რაოდენობა 120 ცალი.

ნაგავშემკრები ბუნკერების რაოდენობა 4 ცალი.

მორწყვა-მორეცხვის (ზამთრის პერიოდში - ქუჩების მექანიკურ წმენდას) დაქვემდებარებული ქუჩების ფართი 68000 კვ მ.

ნაგავსაყრელამდე ზიდვის საშუალო მანძილია 10 კმ.

II ლოტი: ქ. მცხეთის ტერიტორიის მწვანე ზოლის ექსპლოატაციას და მომსახურებას სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

- მწვანე ზოლის საერთო ფართია 1000000 კვ მ.

მათ შორის:

ბაღი - 20400 კვ მ;

სკვერები - 12180 კვ მ;

გაზონები - 12220 კვ მ;

ფერდობები - 30200 კვ მ;

თეატრონის პარკი - 25000 კვ მ.

2. მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2007 წლის 1 იანვრამდე.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე 2006 წლის 1 მარტიდან 2006 წლის 6 მარტამდე შემდეგ მისამართზე: ქ. მცხეთა, აღმაშენებლის ქ. № 136.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1. იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია. აგრეთვე, მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

4.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა.

4.3. როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობა საქართველოს შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

ბ) ინფორმაციას ტექნიკური აღჭურვილობის შესახებ;

გ) ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მიმდინარე პერიოდში გაწეული ანალოგიური მომსახურების შესახებ.

5. განცხადებას ტენდერში მონაწილეობის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად, უნდა ახლდეს წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნუსხა, ხელმოწერილი განმცხადებლის მიერ.

6. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

7. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის (ანგ. № 33030002 სახ. ბანკი მცხეთის ფილიალის ს/კ 236047229) შემდეგ შეეძლებათ 2006 წლის 9 მარტიდან 14 მარტის ჩათვლით, შემდეგ მისამართზე, ქ. მცხეთა, აღმაშენებლის ქ. №136, ქ. მცხეთის გამგეობა.

ტენდერის შედეგად შესაძლებელია ერთი ან რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

საკონტაქტო პირი ქეთინო აქიაშვილი. ტელ. 25-30.

*სატენდერო კომისია*

# საჯარო სამართლის იურიდიული პირი - "ზღვისპირა პარკი" აცხადებს ტენდერს მომსახურების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - "ზღვისპირა პარკი" (ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ., N 13) აცხადებს ტენდერს **შადრევნების ექსპლუატაციისა და მომსახურების** სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. ტენდერის შედეგად გამოვლინებული მხოლოდ ერთი გამარჯვებული ვალდებული იქნება გასწიოს სამუშაო ამ სამუშაოზე მასთან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ძალაში შესვლის მე-5 დღიდან 2006 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, დახურული კონვერტებით, უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 10 თებერვლიდან 2006 წლის 3 მარტის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ., N 13, სსიპ "ზღვისპირა პარკის" ოფისი. პაკეტები გაიხსნება 2006 წლის 3 მარტს, 18 საათზე, დაინტერესებული პირებისა და სხვა მსურველთა თანდასწრებით.

4. ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს:

ა) პრეტენდენტის დასახელებას (სახელსა და გვარს), მის იურიდიულ მისამართსა და ფაქტიურ ადგილმდებარეობას (ადგილსამყოფელს), საფოსტო და ელექტრონული ფოსტის მისამართებს, ტელეფონებისა და ფაქსის ნომრებს, საბანკო რეკვიზიტებს, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების სახელსა და გვარს;

ბ) შესაბამისი საგადასახადო ინსპექციის ცნობას ბიუჯეტისადმი დავალიანების არ არსებობის შესახებ;

გ) ინფორმაციას ამ განცხადებაში მითითებულის ანალოგიური მომსახურების გაწევის გამოცდილების შესახებ, კონკრეტული მაგალითების და მოცულობების მითითებით. სასურველია, სათანადო სარეკომენდაციო წერილების წარმოდგენა;

დ) ცნობას შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის საკუთრებაში არსებობის ან იჯარაში აღების შესახებ და ფინანსური მდგომარეობის შესახებ, დადასტურებულს დამოუკიდებელი აუდიტური ფირმის მიერ;

ე) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრის ცნობას იმის თაობაზე, რომ იურიდიული პირის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი ფიზიკური პირები (ფიზიკური პირის შემთხვევაში - თვით ეს პირი) უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავდებულები და ამჟამად მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

*იურიდიული პირის შემთხვევაში:*

ვ) ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან;

ზ) რეგისტრაციის ადგილის მიხედვით სასამართლოდან ცნობას იმის თაობაზე, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;

თ) რეგისტრაციის ადგილის მიხედვით საგადასახადო ინსპექციიდან ცნობას იმის თაობაზე, რომ არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ი) მის საკუთრებაში არსებული ქონების რეგისტრაციის ადგილის მიხედვით საჯარო რეესტრის ადგილობრივი სააგენტოს ცნობას ქონებაზე ყადაღის არ არსებობის შესახებ;

კ) მის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების პირადობის მოწმობის ასლს;

*ფიზიკური პირის შემთხვევაში:*

ლ) პირადობის მოწმობის ასლს;

მ) შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების ცნობას მისი ქმედუნარიანობის შესახებ;

ნ) საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რაიონული (საქალაქო) სასამართლოს ცნობას იმის თაობაზე, რომ არ მიმდინარეობს მის მიმართ გაკოტრების საქმის წარმოება;

არარეზიდენტმა პირმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინოს თავისი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოსა და საქართველოში დადგენილი წესით ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.

ამ პუნქტში ჩამოთვლილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები ასევე ეხება სუბკონტრაქტორებსაც, თუ პრეტენდენტი მათთან ერთად ადგენს სატენდერო წინადადებას.

5. სატენდერო დოკუმენტაცია, ქართულ ენაზე, მსურველებს შეუძლიათ 2006 წლის 3 მარტამდე, დილის 10 საათიდან 17 საათამდე, მიიღონ სსიპ - "ზღვისპირა პარკის" ოფისში. დოკუმენტაცია გაიცემა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სახაზინო სამსახურის ანგარიშზე N000142101, საქართველოს ეროვნული ბანკის ბათუმის ფილიალი, კოდი 220501102, 200 (ორასი) ლარის სატენდერო მოსაკრებლის ჩარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტის ორიგინალის წარმოდგენისთანავე. ჩარიცხვის დოკუმენტში უნდა მიეთითოს გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, **შადრევნების ექსპლუატაცია და მომსახურება**.

6. დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ ბატონ დავით გაბაიძესთან, სსიპ - "ზღვისპირა პარკის" ოფისში ან საქალაქო ტელეფონით (995222) 74721 ან მობილური ტელეფონით 8(93) 204857.

**სატენდერო კომისია**

# საჯარო სამართლის იურიდიული პირი - "ზღვისპირა პარკი" აცხადებს ტენდერს მომსახურების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - "ზღვისპირა პარკი" (ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ., N 13) აცხადებს ტენდერს **ზღვისპირა პარკის კომუნიკაციებისა და მატერიალური ფასეულობების ოპერატიული მართვისა და კონტროლის მომსახურების** სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. ტენდერის შედეგად გამოვლინებული მხოლოდ ერთი გამარჯვებული ვალდებული იქნება გასწიოს სამუშაო ამ სამუშაოზე მასთან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ძალაში შესვლის მე-5 დღიდან 2006 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, დახურული კონვერტებით, უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 10 თებერვლიდან 2006 წლის 3 მარტის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ., N 13, სსიპ "ზღვისპირა პარკის" ოფისი. პაკეტები გაიხსნება 2006 წლის 3 მარტს, 18 საათზე, დაინტერესებული პირებისა და სხვა მსურველთა თანდასწრებით.

4. ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს:

ა) პრეტენდენტის დასახელებას (სახელსა და გვარს), მის იურიდიულ მისამართსა და ფაქტიურ ადგილმდებარეობას (ადგილსამყოფელს), საფოსტო და ელექტრონული ფოსტის მისამართებს, ტელეფონებისა და ფაქსის ნომრებს, საბანკო რეკვიზიტებს, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების სახელსა და გვარს;

ბ) შესაბამისი საგადასახადო ინსპექციის ცნობას ბიუჯეტისადმი დავალიანების არ არსებობის შესახებ;

გ) ინფორმაციას ამ განცხადებაში მითითებულის ანალოგიური მომსახურების გაწევის გამოცდილების შესახებ, კონკრეტული მაგალითების და მოცულობების მითითებით. სასურველია, სათანადო სარეკომენდაციო წერილების წარმოდგენა;

